პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1980 წელი სამშაბათი 8 ივლისი № 157 (17800) ფასი 2 კაპ.

გუშინ თბილისში გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

პლენუმზე გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ე. ა. შევარდნაძე.

პლენუმმა დაადგინა: მოწვეულ იქნეს საქართველოს კომუნისტური პარტიის მორიგი, XXVI ყრილობა 1981 წლის 22 იანვარს.

დამტკიცებულია ყრილობის დღის წესრიგი.

საინფორმაციო ცნობა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

7 ივლისს გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XXI პლენუმი, რომელმაც განიხილა საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის მოწვევის საკითხი.

პლენუმზე გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ე. ა. შევარდნაძე.

პლენუმმა მიიღო შესაბამისი დადგენილება.

პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხი. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მრეწველობის განყოფილების გამგედ დამტკიცებულია ამხ. ბ. დ. მახარაშვილი.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი ამხ. ვ. ა. კორობეინიკოვი.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის 1980 წლის 7 ივლისის დადგენილება

საქართველოს კომუნისტური პარტიის მორიგი, XXVI ყრილობის მოწვევის შესახებ

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ადგენს:

1. მოწვეულ იქნეს საქართველოს კომუნისტური პარტიის მორიგი, XXVI ყრილობა 1981 წლის 22 იანვარს.

2. დამტკიცდეს ყრილობის შემდეგი დღის წესრიგი:

1) საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიში. მომხსენებელი — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ე. ა. შევარდნაძე.

2) საქართველოს კომპარტიის სარევიზიო კომისიის ანგარიში. მომხსენებელი — საქართველოს კომპარტიის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე ამხ. ი. გ. ხაზარაძე.

3) არჩევნები:

ა) საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელი ორგანოებისა — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს კომპარტიის სარევიზიო კომისიისა;

ბ) სკკპ XXVI ყრილობაზე წარსაგზავნი დელეგატებისა.

3) დაწესდეს საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობაზე წარმომადგენლობის ნორმა: ერთი დელეგატი 250 პარტიის წევრისაგან.

4. საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობაზე წარსაგზავნ დელეგატებს პარტიის წესდების თანახმად დახურული (ფარული) კენჭისყრით ირჩევენ რაიონულ, საქალაქო და საოლქო პარტიულ კონფერენციებზე.

საბჭოთა არმიის, სამხედრო-საზღვაო ფლოტის, შინაგანი და სასაზღვრო ჯარების პარტიულ ორგანიზაციებში შემავალი კომუნისტები საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობაზე წარსაგზავნ დელეგატებს შესაბამის ტერიტორიულ-პარტიულ ორგანიზაციებთან ერთად ირჩევენ რაიონულ, საქალაქო და საოლქო-პარტიულ კონფერენციებზე.

საქართველოს პარტიული აქტივის კრება

7 ივლისს თბილისში, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში, გაიმართა რესპუბლიკის პარტიული აქტივის კრება. კრებაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები და წევრობის კანდიდატები, საქართველოს კომპარტიის სარევიზიო კომისიის წევრები, პარტიის საქალაქო, რაიონული კომიტეტების მდივნები, რაიკომების უფლებების მქონე პარტკომების მდივნები, პროფკავშირული ორგანოების მუშაკები, კომკავშირის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების პირველი მდივნები, მინისტრები, სახელმწიფო კომიტეტებისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მთავარ სამმართველოთა თავმჯდომარეები, რომლებიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის შემადგენლობაში არ შედიან, უწყებების, გაერთიანებების, მსხვილი საწარმოების ხელმძღვანელები, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოწინავენი, მეცნიერების, კულტურის, პრესის, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო და ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქების ჯარების წარმომადგენლები.

კრება გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ე. ა. შევარდნაძემ.**

კრების მონაწილეებმა განიხილეს **სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1980 წლის ივნისის პლენუმის შედეგები და საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ამოცანები მისი გადაწყვეტილებების, ამ პლენუმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებაში დასახული მითითებებისა და პარტიის XXVI ყრილობის ღირსეულად შეხვედრის საქმეში.**

მოხსენება გააკეთა **ე. ა. შევარდნაძემ.**

მოხსენების განხილვაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი **თ. ნ. მენთეშაშვილი,** ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს წევრი—პოლიტსამმართველოს უფროსი **ა. ი. შირინკინი,** საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი **ბ. ვ. ადლეიბა,** ზუგდიდის რაიონის სოფელ ჭითაწყაროს კოლმეურნეობის მექანიზატორი **მ. დ. მირგატია,** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი **ვ. მ. ოკუჯავა,** საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი **გ. ე. ჩიგოგიძე,** დმანისის რაიონის გომარეთის მერძეველობა-მეკარტოფილეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი **ვ. ა. ჩალიძე,** საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივანი **თ. შ. კაბულოვა,** საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრი **ნ. ა. მეძმარიაშვილი,** საქართველოს კომპარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი **ბ. დ. გულუა,** წალკის სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **ო. ა. ხრისტიანოვი,** ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსი **ლ. გ. ვარდოსანიძე,** საქართველოს კომპარტიის ლაგოდეხის რაიკომის პირველი მდივანი **ვ. გ. ბაქრაძე,** ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის პარტკომის მდივანი **ს. ა. კურტანიძე,** საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი **შ. მ. ეცადაშვილი,** საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი **ი. ნ. ორჯონიკიძე,** თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნის კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირი **ა. დ. გელაშვილი,** საქართველოს კომპარტიის ახალქალაქის რაიკომის პირველი მდივანი **გ. ს. შუღაროვი,** საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის მინისტრი **ი. ა. ხარატიშვილი,** ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის დირექტორი **გ. ბ. ქაშაკაშვილი,** საქართველოს კომპარტიის გურჯაანის რაიკომის პირველი მდივანი **ბ. ი. შინჯიაშვილი.**

განხილული საკითხის გამო საქართველოს პარტიული აქტივის კრებამ მიიღო შესაბამისი დადგენილება.

კრების მუშაობაში მონაწილეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი **ვ. ა. კოროობეინიკოვი.**

პრესა და შეჯიბრება

„ОСКОВСКАЯ ПРАВДА“ მორიგ ნომერს რომ ეცნობიან, მკითხველები მუდამ პოულობენ იქ სტატიებს, რეპორტაჟებს, ინფორმაციებს რუბრიკით „წლის დავალებანი — 7 ნოემბრისათვის“. გაზეთი უნარიანად უწევს პროპაგანდას დედაქალაქის სამრეწველო საწარმოების მოწინავე მუშებისა და კოლექტივების პატრიოტულ ინიციატივას, საინტერესოდ მოგვითხრობს იმაზე, თუ რა კეთდება დამკვრელური ლენინური ვახტის მიღწევების დამკვიდრებისა და განვითარებისათვის, გვიჩვენებს რეზერვებს, რომლებიც უნდა ავამოქმედოთ. პარტიის საქალაქო კომიტეტის ბეჭდვითი ორგანო, რომელიც შეჯიბრების მონაწილეებს რაზმავს მაღალი შრომითი მიჯნების მიღწევისათვის, აქტიურად უწყობს ხელს სკკპ XXVI ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის მზადებაში მოსკოველთა წვლილის გადიდებას.

მაღალი ეფექტიანობისა და ხარისხისათვის, სახელმწიფო დავალებისა და კოლექტივების მიერ ნაკისრი ვალდებულებების ვადამდე შესრულებისათვის მასობრივი შეჯიბრება საბჭოთა პრესის წამყვანი თემაა. ამ მაგისტრალური მიმართულებით ჟურნალისტთა შემოქმედებითს შრომას ახალი სტიმული მისცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებებმა. პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებაში აღნიშნულია, რომ საჭიროა ენერგიის მაქსიმუმი მოვახმაროთ იმ საქმეს, რომ წარმატებით, მთლიანად და გადაჭარბებით შეავსრულოთ მეათე ხუთწლედის დამამთავრებელი წლის გეგმა, დროულად ავამოქმედოთ ასამუშავებელი ობიექტები, უზრუნველვყოთ სახალხო მეურნეობის სტაბილური მუშაობა 1981 წელს — მეოერთმეტე ხუთწლედის პირველ წელს. აქ თავისი როლი უნდა შეასრულოს ყრილობის აღსანიშნავმა სოციალისტურმა შეჯიბრებამ.

ახლა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ის, რომ პრესის ყურადღების ცენტრში იყოს საუკეთესო გამოცდილების წარმოჩენა, შრომითი კოლექტივების დარაზმვა დავალებათა უთუოდ შესრულებისათვის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის, შრომის ნაყოფიერების გაზრდისათვის, სოფლის მეურნეობის პროდუქციის დამზადების გადიდებისათვის. საჭიროა შეგვეძლოს შევნიშნოთ ახლის, მოწინავის ყლორტები, მივაღწიოთ ხუთწლედის მეწინავეთა მიღწევების უფელგან ათვისებას, ღრმად გავაანალიზოთ მუშაობა სამეურნეო მექანიზმის სრულყოფისათვის. ჩვენს პრესას შეუძლია და ვალდებულიცაა შეუნელებელი კონტროლი დაუწესოს იმას, რომ ყველა საწარმოო კოლექტივი აბორციელებდეს ხელმეკრულებებითა და განწესებით ნაკისრ ვალდებულებებს, უშვებდეს უმაღლესი ხარისხის ნაწარმს, ზუსტად გრაფიკის მიხედვით გადასცემდეს საექსპლოატაციოდ ასამოქმედებელ ობიექტებს, გადაჭრით აღმოფხვრიდეს წუნს, საგგეგმო და შრომის დისციპლინის დარღვევებს.

უკანასკნელ ხანს პრესის მხარდაჭერით ფართოდ გავრცელდა ბევრი საყურადღებო წამოწყება. მათ შორის შეხვედრი დაგეგმვა, ბრიგადული იჯარა, უჩამორჩენილებოდ მუშაობის გამოცდილება, სხვა მოწინავე მეთოდები. ახლის შეუნელებელი პროპაგანდის მაგალითს იძლევიან „სოციალისტიჩესკაია ინდუსტრიის“, „სოვეტსკაია ბელორუსიის“, ლატვიური „ცინის“, უკრაინული „ხილსკიხ ვიხტეის“, ივანოვოს „რაბოჩი კრაის“, უურნალ „ეკონომიკა სტროიტელსტვას“, სხვა ბეჭდვითი ორგანოების ჟურნალისტები. ისინი საქმიანად, კონკრეტულად, დამაჯერებლად გვიხსნიან საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულთა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშებით დაჯილდოებულთა წარმატების „საიდუმლოებას“.

საგაზეთო გამოსვლების ეფექტიანობა შესამჩნევად მაღლდება, თუ რედაქციები აქტუალურ თემას შემთხვევიდან შემთხვევამდე კი არ მიმართავენ, არამედ მსჯელობენ მის შესახებ თანამიმდევრულად, მიზანმიმართულად, ამასთან ამ საქმეში აბამენ ფართო აქტივს, მუშსოფლკორებს. ასეთი მიდგომა ახასიათებს, მაგალითად, „სტროიტელნაია გაზეტას“ მასალებს „მუშური ესტაფეტის“ პრინციპით მიმდინარეობა შეჯიბრების შესახებ. მკითხველთა მაღალი შეფასება დაიმსახურა „სოვეტსკაია ბაშკირიის“ ფურცლებზე დაბეჭდილმა „ნოვატორობის გაკვეთილებმა“, ძალზე სასარგებლო აღმოჩნდა კამპანია „გავუფრთხილდეთ სახალხო დოვლათს“, რომელიც „ბელგოროდსკაია პრავდამ“ მოაწყო. სასიხარულოა, რომ რედაქციები ესწრაფვიან გააფართოონ პუბლიცისტური საშუალებების არსენალი შეჯიბრების პრობლემების, მისი ორგანიზაციის მეცნიერული საფუძვლებისა და პრინციპების ყოველმხრივი გაშუქებისათვის. პრესის ბევრი ორგანო კვალიფიციურად აანალიზებს შრომითი მეტოქეობის „მექანიზმს“, მკაფიოდ გვიჩვენებს მის ეკონომიკურ, სოციალურ და აღმზრდელობითს მნიშვნელობას.

სოციალისტური შეჯიბრების მსვლელობასა და შედეგებზე მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებათა ქმედითი ზეგავლენის შესაძლებლობანი საკმაოდ დიდია. მაგრამ მათ ყველგან ეფექტიანად როდი იყენებენ. ზოგჯერ გაზეთის გამოსვლებით ძნელია, მაგალითად, გაიგო, თუ რატომ ჩამორჩება ესა თუ ის კოლექტივი, რა უნდა გააკეთოს მან, რათა თავი დაალწიოს გარღვევას. ამას წინათ ყირგიზეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე აღინიშნა, რომ რესპუბლიკის გაზეთების, ტელევიზიისა და რადიოს რედაქციებს პასიური პოზიცია უკავიათ მოწინავე გამოცდილების პროპაგანდის საქმეში და სჯერდებიან მხოლოდ ინფორმაციას სხვადასხვაგვარი წამოწყებების შესახებ. სამაგიეროდ იშვიათია სხვა საწარმოებში სიახლეთა ათვისების ანალიზი, იმათი კრიტიკა, ვინც თავს არდებს სასარგებლო სიახლეებს. საყურადღებო გამოცდილების დანერგვისათვის მუდმივი, ყურადღებიანი ზრუნვა ყოველი რედაქციის წესი უნდა გახდეს.

ძნელია წარმატების მიღწევა შეჯიბრების საკითხთა გაშუქების საქმეში, თუ ბეჭდვითი გამოცემის ფურცლებზე, რადიო და ტელეგადაცემებში რეგულარულად არ გამოვლენ თვით შეჯიბრების მონაწილენი — მუშები, კოლმეურნეები, სპეციალისტები. მათი აზრი წარმოებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების პრობლემებზე, შრომის გმირებისადმი მიძღვნილი მკაფიო პუბლიცისტური ნარკვევები ბევრად განსაზღვრავენ ამ გამოცემების დონეს, მეგრძოლურობას, ავტორიტეტს მკითხველთა შორის. ამასთან ზოგიერთ გაზეთში, მაგალითად, „ბრიანსკი რაბოჩიში“ უკანასკნელ ხანს ასეთი მასალები იშვიათად გვხვდება, და ეს უნდა აწუხებდეს ბეჭდვითი ორგანოების რედაქციებს, ადგილობრივ პარტიულ კომიტეტებს. პრესის დიდ ყურადღებას მოითხოვს მოძრაობა შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის.

პარტიული კომიტეტების ვალია ნიადაგ წარმართავდნენ სარედაქციო კოლექტივების საქმიანობას, სისტემატურად აწვდიდნენ პრესის მუშაკებს ინფორმაციას ძირითადი ამბებისა და დღის ამოცანების, სამეურნეო-პოლიტიკური კამპანიების მიმდინარეობის შესახებ. ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ყოველმხრივ დავუჭიროთ მხარი გაზეთებისა და ჟურნალების ყველა კარგ წამოწყებას შეჯიბრების გაჩაღების საუკეთესო გამოცდილების დანერგვის საქმეში, ამავე დროს მკაცრი პარტიული შეფასება მივცეთ ზოგიერთი ხელმძღვანელის ცდებს ფორმალური პასუხით დაიღწიონ თავი კრიტიკას.

საბჭოთა ჟურნალისტების საპატიო და პასუხსაგები მოწოდებაა იყვნენ პარტიის მოთხოვნათა სიმაღლეზე, რომელიც თავის XXVI ყრილობას ეგებება, შთაგონებით ასახავდნენ ხუთწლედის გმირთა სახელოვან შრომის გამარჯვებებს. ისინი კოლექტიური შრომით ქმნიან ჩვენი თანამედროვეების გმირულ საქმეთა მატიანეს, თავიანთი წვლილი შეაქვთ კომუნისტური მშენებლობის საერთო-სახალხო საქმეში.

ПРАВДА 7 ივლისის მოწინავე

ДОРОГОЙ ПОДАРОК — ПОБЕДА!

რუსთავის ცემენტის ქარხნის პროდუქციის 50 პროცენტზე მეტს მიენიჭა სახელმწიფო ხარისხის ნიშანი. ეს ყველაზე მაღალი მარეგულირებელია ქალაქის სამრეწველო საწარმოებს შორის. ქარხნის კოლექტივმა წარმატებას მიაღწია იმის შედეგად, რომ განახორციელა მთელი რიგი ღონისძიებები პროდუქციის ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემის დანერგვისათვის.

ხარაზოვზე: რუსთავის ცემენტის ქარხნის ელექტროსაამქროს მეგრაგნელე ვლადიმერ კოვალიოვი; რუსთავის ცემენტის ქარხნის მბრუნავი ღუმელები.

ბ. პიპაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ეძღვნება დიად გამარჯვებას

ბროშურად გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. ნ. კოსიგინის სტატია, რომელიც ეძღვნება დიდი სამამულო ომის წლებში საბჭოთა ხალხის შრომითს გმირობას.

ბროშურაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ სამხედრო და შრომითი გმირობის მტკიცე ერთიანობამ უზრუნველყო მტრის განადგურება და დიდი სამამულო ომის ძლევამოსილი დამთავრება. სტატიაში ასახულია ომისწინა ხუთწლედების მანძილზე და, განსაკუთრებით, ომის მძიმე წლებში შრომითი გმირობისათვის საბჭოთა ხალხის შთამაგონებელი კომუნისტური პარტიის მაორგანიზებელი როლი.

ბროშურა „სამშობლოს დამცველთა ერთიან მწყობრში“ მასობრივი ტირაჟით გამოუშვა პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ. (საკლესი).

სამხრეთული კულტურების ბაქაქა

სამხრეთულ კულტურებზე, განსაკუთრებით ჩაის და ციტრუსზე, უდიდესი მოთხოვნილებაა. ამიტომაც პარტია და მთავრობა სუბტროპიკული ზონის მშრომელებს მოუწოდებენ მაქსიმალურად გამოავლინონ ყველა რეზერვი, გაზარდონ პლანტაციები და მოსავლიანობა.

რა მდგომარეობაა ამ მხრივ აჭარაში? ამჟერად მხოლოდ მეციტრუსეობას შევეხებით. როგორც ცნობილია, აჭარა ციტრუსების მთავარი მწარმოებელია. აქ მოდის საქართველოს ციტრუსების 65 პროცენტზე მეტი. ამ ძვირფას კულტურას 7500 ჰექტარამდე უჭირავს. მარტო შარშან სახელმწიფოს მიეყიდა 170 ათას ტონაზე მეტი ნაყოფი. ზოგიერთ მეურნეობაში ჰექტარობრივმა მოსავალმა 30 ტონას გადააჭარბა. როგორც ვხედავთ, ძნელად თუ მოიძებნება სხვა უფრო ბარაქიანი კულტურა და უხვმოსავლიანი პლანტაციები. ამიტომაც არის, რომ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მეციტრუსეობის შემდგომ განვითარებას. მარტო მეათე ხუთწლედის განვლილ ოთხ წელიწადში ქვეყანას შეემატა 250 ჰექტარი. ასითასობით ნერგი გამოირგო შემეჩხერებულ პლანტაციებში.

აჭარის მეციტრუსეობის მეურნეობებზე საერთო წარმოდგენა რომ ვიქონიოთ, გავეცნოთ ერთერთ მთგანს — გონიოს საბჭოთა მეურნეობას.

დილის რვა საათია. გონიოს საბჭოთა მეურნეობის დირექტორი, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი კირილე ბერიძე ისტორიული ციხის კარიბჭესთან ვნახეთ. ახლა ციხის გალავანში მოქცეული ოთხჰექტარ-ნახევარი ფართობი ციტრუსის ბაღნარად არის გადაქცეული და მას „მეგობრობის ბაღს“ უწოდებენ. აქ თითოეულ ხეს ისტორიული მნიშვნელობა აქვს. ისინი ხომ მომქმე ქვეყნების დელეგაციებმა დარგეს!

გალავნის მარჯვენა მხარეს გონიოს საბჭოთა მეურნეობის ადმინისტრაციული სახლი, კლუბი, საცხოვრებელი ბინები, ბავშვთა ბაგა, შესაფუთი ქარხანა და მომსახურების ობიექტებია აშენებული. გალავნის იქით იწყება მუქ ლურჯად მოხატული გორაკები, რომლებიც ბოლო წლებში ყველაზე ბარაქიანი გახდა.



გონიოს ციტრუსის ბაღები

რა მოხდა ასეთი?

მოვიშველიოთ რამდენიმე ციფრი. გონიოს საბჭოთა მეურნეობა დიდი არ არის. სულ 150 ჰექტარი უჭირავს. აქედან სრულმოსავლიანი პლანტაციაა 98 ჰექტარი, რომელსაც 220 კაცი უვლის და ამუშავებს. მეურნეობამ ხუთწლედის გეგმა 4 წელიწადში შეასრულა. მარტო შარშან მოიყვანა 2.320 ტონა ციტრუსი, 1975 წელთან შედარებით სამჯერ მეტი, ხოლო 1970 წელთან შედარებით — ექვსჯერ მეტი. 1979 წელს ფულადმა შემოსავალმა 2 მილიონ მანეთს გადააჭარბა. თუ 1975 წელს მუშის საშუალო თვიური ხელფასი 97 მანეთი იყო, 1979 წელს 314 მანეთი გახდა. წმინდა მოგებამ 1.252 ათას მანეთს გადააჭარბა.

როგორ მოიპოვეს ასეთი წარმატებები?

მეურნეობაში ეკონომიკური სტიმულირების მეთოდს არასდროს არ ექცეოდა ისეთი ყურადღება, როგორც ამჟამად. ყოველ მუშას შეგნებული აქვს, რომ რაც უფრო გაიზრდება მეურნეობის შემოსავალი, მით უფრო გაუმჯობესდება მისი ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა. ცხოვრება თავისთავად შესანიშნავი აგიტატორი გახდა. ახლა ბევრია ოჯახი, რომელთა წლიური გამომუშავება 10-15 ათას მანეთს აღწევს. მაგალითად, ა. ზოიძის ოჯახმა შარშან მიიღო 14 ათასი მანეთი, ი. ბერდიევისამ — 13 ათასი მანეთი. მეურნეობაში ათობით ასეთი ოჯახია. ზოიძემ მითხრა: მარტო „მეცამეტე“ ხელფასის სახით 813 მანეთი მივიღეო.

მეურნეობაში მთავარი მიმართულებაა ინტენსიფიკაცია და მექანიზაცია. მარტო ბოლო 2 წელიწადში გამოირგო 32 ათასი ძირი ციტრუსი. წელს აითვისეს ახალი ფართობი, სადაც 3.500 ძირი ლიმონი გაშენდა. ასეთი ბარაქიანი მიწის არც ერთი მტკაველის მოცდენა არ შეიძლება, ამიტომაც არის, რომ ითვისებენ ყველა ფერდობს, გზისპირებს, ხევებს.

მეურნეობის ყოველ მუშას ახლა შესანიშნავი აგრონომიული ცოდნა აქვს, ამიტომაც მათ „უდიპლომო აგრონომები“ შეარქვეს. დიდი ყურადღება ექცევა ბაღების განყოფილებას. ყოველივე ამის გამო, მეურნეობაში საშუალო ჰექტარობრივმა მოსავალმა 33 ტონას გადააჭარბა. სახელმწიფო პრემიის ლაურეატის ლ. ნოზაძის ბრიგადამ შარშან 907 ტონა ციტრუსი მოიყვანა, ხოლო საშუალო ჰექტარზე 34,5 ტონაზე მეტი მოიწია. მეურნეობაში ნაკვეთები ინდივიდუალურად აქვთ მიჩენილი, რამაც გაზარდა პასუხისმგებლობა და მომთხოვნელობა. აქ რეკორდული მოსავლის მოყვანა ჩვეულებრივ ამბად იქცა: ა. ზოიძეს, დ. შარგაროცკაიას, ნ. დავითაძეს, ე. ფუტკარაძესა და სხვებს ჰექტარზე საშუალოდ 50 ტონამდე მოსავალი მოჰყავთ.

გონიო აჭარის არა მარტო ერთ-ერთი მდიდარი საბჭოთა მეურნეობაა, არამედ, ამავე დროს, ერთ-ერთი ულამაზესი ადგილიც, სადაც ერთმანეთთან შერწყმულია მთისა და ზღვის ჰაერი. მკლავმოუღლელი გონიოელები ყოველნაირად ცდილობენ უფრო ბარაქიანი, უფრო მიმზიდველი გახადონ თავიანთი სოფელი, რომელმაც ბოლო წლებში ეკონომიკური წინსვლის გზაზე შესანიშნავი გამარჯვებები მოიპოვა.

მ. გორგილაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

სურათებზე: — მეურნეობის მაკეტი; სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ლ. ნოზაძე თავისი ბრიგადის მუშებთან.

ქალაქი — სოფელს

ვენახში სტუდენტები არიან

ფოთელწყაროს (საკ. კორ. ვ. მჭედლიშვილი). დიდძალი სამუშაო მოზღვავდა სოფლად — პირუტყვის საკვების დამზადება, ვენახების წამლობა, ოთხნა, კულტივაცია, გაფურჩვნა, პორეულის მოსავლის აღება და ვინ მოთვლის კიდევ რა! ყველა ეს საქმე ერთდროულად საჭირო და საშურია, რასაც მარტო კოლმეურნეები ვეღარ აუდიან. მათ ამ დღეებში მხარში ამოუდგნენ წარმობა-დაწესებულებათა მუშაკები, მოსწავლე ახალგაზრდობა, სტუდენტობა.

სწორედ ასეთი კეთილშობილური მისიით ამ დღეებში ფოთელწყაროს რაიონის სოფელ ანრბოშიკის კოლმეურნეობას საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის აგრონომიის, სტატეო, ჰიდრომელიორაციის ფაკულტეტების ოცდათი სტუდენტი ეწვია. სტუდენტებს შრომაში მხარში ედგნენ და კარგ მაგალითს აძლევდნენ ლექტორ-მასწავლებლები, დოცენტები ჯ. მინდელი, თ. ოსეფაშვილი, მ. დულარიძე, ნ. ტაბიძე.

ორ კვირაში მათ ათზე მეტი ჰექტარი ვენახი გათოხნეს და გაფურჩნეს. შრომასა და ყოფაქცევაში განსაკუთრებით გამოირჩეს თავი სტუდენტებმა ე. ბერიკაშვილმა, თ. იმედაშვილმა, ა. კოტორაშვილმა, გ. ილაშვილმა, გ. მამფორიამ, ნ. კვიციანმა, კ. მაზანაშვილმა, თ. მიშველაძემ და სხვებმა. მათ კოლმეურნეობის გამგეობამ და პარტიულმა კომიტეტმა სამახსოვრო საჩუქრად მაჯის საათები გადასცეს, სტუდენტთა ერთი ჯგუფი კი საპატიო სიგელით დაჯილდოდა.

სტუდენტებმა და ლექტორ-მასწავლებლებმა კოლმეურნეობასა და სოფელს კარგი მასპინძლობისა და ყურადღებისათვის გულთბილი მადლობა გადაუხადეს.

საქმეებს უმზადებენ

ყველას საქმე

თელავი. (საკ. კორ. დ. გერგიშვილი). თელავის რაიონში პირუტყვისათვის საკვების დამზადება საერთო-სახალხო საქმედ გამოცხადდა. პირუტყვის ნორმალური გამოზამორებისათვის რაიონის მშრომელებს, მეცხოველეებს, დარგის სპეციალისტებს ამოცანად დაუსახავთ — დაამზადონ 11.000 ტონა სენაჟი, 4.000 ტონა თივა, 17.000 ტონა სილოსი, 3.000 ტონა საკვები ძირხვენები...

საზოგადოებრივმა მეურნეობებმა საკვების დამზადება კარგა ხანია დაიწყეს, ბევრმა ტრანშეებში უკვე დაასენაჟა გეგმით გათვალისწინებულზე მეტი საკვები. მაგალითად, იყალთოს კოლმეურნეობამ უკვე დაამზადა 610 ტონაზე მეტი სენაჟი, ნაცვლად გეგმით — გათვალისწინებული 600 ტონისა, ლალისყურის მეცხვარეობის სამეურნეობათშორისო საწარმოო გაერთიანების საკვებმომპოვებლებმა რამდენიმე დღეში ჩადეს 440 ტონა მწვანე მასა საგეგმო 400 ტონის ნაცვლად, ქვემოხოდაშნელებმა — 240 ტონა 200 ტონის ნაცვლად, ნაფარეულელებმა — 250 ტონა 150-ის ნაცვლად, შალაურელებმა — 320 ტონა 300 ტონის ნაცვლად.

სენაჟის ჩადების ტემპი სულ უფრო ძლიერდება კონდოლში. ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ 7 დღეში 812 ტონა მწვანე მასა დაასენაჟა, გეგმა კი 800 ტონას ითვალისწინებდა. სწრაფი ტემპით ამზადებენ პირუტყვის საკვებს ბუშეტის, სანიორის კოლმეურნეობების და ყარაჟლის ეთერეზეთოვანი კულტურების და გაულუოს მეთესლეობის საბჭოთა მეურნეობების საკვებმომპოვებლები.

მაგრამ ეს სამუშაო ყველგან სასურველი ტემპით არ მიმდინარეობს. სენაჟის დამზადების საქმეში ჩამორჩნენ კურდღელაურის, ფშაველის, რუისპირის და აკურის კოლმეურნეობები.

ჰ. შმიდტის განცხადება

ბონი. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერალურმა კანცლერმა ჰ. შმიდტმა ბუნდესტაგში გააკეთა მთავრობის განცხადება საბჭოთა კავშირ-დასავლეთ გერმანიის უმაღლესი დონის მოლაპარაკების შედეგების შესახებ.

ამ ვიზიტმა, ხაზგასმით აღნიშნა მან, ცხადყო, რომ პირდაპირი მოლაპარაკება საერთაშორისო ვითარებაში, რომელსაც კვლავ მთელი რიგი სერიოზული კრიზისები ახასიათებს, არა მარტო საჭირო, არამედ, სასარგებლოც არის.

მოსკოვში ვიზიტის უმნიშვნელოვანესი მიზანი ის იყო, რომ საბჭოთა ხელმძღვანელობისათვის უშუალოდ გვეცნობებინა ჩვენი შეხედულებანი ახლანდელ საერთაშორისო ვითარებაზე და მისი მიზეზები, გამოგვეხატა ჩვენი ღრმა შეშფოთება ამის გამო და დაწვრილებით გავცნობოდით საბჭოთა თვალსაზრისს, თქვა მან.

ჩვენ, თქვა შემდეგ შმიდტმა, უაღრესად შინაარსიანი საუბარი გვქონდა ლ. ი. ბრეჟნევთან. შეხვედრებში . მონაწილეობდნენ ა. ნ. კოსიგინი და ა. ა. გრომიკო. ჩემ მიერ გამოთქმული სურვილის შესაბამისად, დასძინა ჰ. შმიდტმა. ვესაუბრეთ აგრეთვე სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრს მარშალ დ. თ. უსტინოვს და შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსს მარშალ ნ. ვ. ოგარკოვს.

თავის გამოსვლაში ჰ. შმიდტმა აღნიშნა, რომ საბჭოთა ხელმძღვანელებთან მოლაპარაკების დროს მხარეები შეეხნენ უშიშროებისა და ევროსავლეთისა და დასავლეთის თანამშრომლობის პრობლემებს, საკითხს საშუალო სიზორის რაკეტულ-ბირთვული. იარაღის შესახებ, ავღანეთის ამბებთან დაკავშირებულ საკითხებს, მსოფლიოს ზოგიერთ სხვა რაიონში შექმნილ მდგომარეობას.

ფედერალურმა კანცლერმა თქვა, რომ საბჭოთა მხარემ წამოაყენა ახალი კონსტრუქციული წინადადებანი იმის თაობაზე, რომ საბჭოთა კავშირი მზად არის სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის მეორე ხელშეკრულების რატიფიკაციამდე დაიწყოს ამერიკის შეერთებულ შტატებთან ორმხრივი მოლაპარაკება საშუალო სიზორის ბირთვული რაკეტების დარგში შეზღუდვების შესახებ. გათვალისწინებულია, რომ მოლაპარაკება აუცილებლად უნდა შეიცავდეს მოწინავე ბაზირების სისტემებსაც, ესე იგი ბირთვულ იარაღს, რომელიც უკვე დისლოცირებულია ევროპაში და შეუძლია დაზიანოს სამიზნეები საბჭოთა კავშირში.

ამასთან, განაცხადა ჰ. შმიდტმა, იგულისხმება, რომ მორიგებანი, რომლებიც შეიძლება მიღწეულ იქნეს ასეთი მოლაპარაკების შედეგად, ძალაში შევა მხოლოდ სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის მეორე ხელშეკრულების რატიფიკაციის შემდეგ.

მე ჯეროვნად შევაფასე საბჭოთა წინადადების მნიშვნელობა და ვთქვი, რომ დაუყოვნებლივ გადავცემდი მას ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს კარტერს. ამასთან გამოვთქვი რწმენა, რომ ამ წინადადებას გულდასმით შეისწავლიან. საგარეო საქმეთა მინისტრმა ჰ.-დ. გენშერმა გუშინ გააცნო იგი ამერიკის პრეზიდენტს, თქვა ჰ. შმიდტმა.

ახალმა საბჭოთა წინადადებამ განმიმტკიცა რწმენა, განაგრძო კანცლერმა, რომ მოლაპარაკება საშუალო სიზორის რაკეტული იარაღის შეზღუდვის დარგში არა მარტო საჭიროა, არამედ შესაძლებელიც არის. უდავოა, რომ ეს საუბრები და მოლაპარაკება ძნელი და ხანგრძლივი პროცესი იქნება.

ჰ. შმიდტმა აგრეთვე აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს დაწვრილებით განხილულ იქ პროცესის განგრძობის საკითხი, რომელსაც დასაბამი მისცა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირმა, ამასთან ხაზი გაუსვა, რომ საერთაშორისო სიტუაციის შემდგომი განვითარება მადრიდის შეხვედრის წარმატებაზე იქნება დამოკიდებული.

ორივე მხარემ გამოთქვა დიდი დაინტერესება იმით, რომ ევროპის ცენტრალურ ევროპაში შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების ორმხრივი შემცირების შესახებ ვენის მოლაპარაკებას, ბოლოს და ბოლოს, მოჰყვება პირველი კონკრეტული შედეგები.

ჰ. შმიდტმა აღნიშნა, რომ საერთაშორისო საკითხებზე დეტალურ აზრთა გაზიარებასთან ერთად იმსჯელეს აგრეთვე ორმხრივი ურთიერთობის განვითარების შესახებ, და განაცხადა: მიღწეულია თანხმობა იმ საკითხზე, რომ ხელშეკრულებები და შეთანხმებები, კერძოდ, 1970 წლის 12 აგვისტოს და 1978 წლის 6 მაისის ერთობლივი დეკლარაცია კვლავაც იქნება ამ ურთიერთობის საფუძველი.

ამასთან დაკავშირებით კანცლერმა განაცხადა, რომ დასავლეთ გერმანიის მხარე პოლიტიკურ მნიშვნელობასაც ანიჭებს საბჭოთა კავშირთან ეკონომიკურ თანამშრომლობას, რომელიც ორივე ქვეყნის ეკონომიკურ ინტერესებს შეესაბამება.

ჩვენ, თქვა ჰ. შმიდტმა, მძიმე საერთაშორისო მდგომარეობის პირობებში ძნელ მოლაპარაკებას ვაწარმოებდით. ზოგიერთ დიდმნიშვნელოვან საკითხზე ვერ მივაღწიეთ თანხმობას, მაგრამ, განაცხადა მან, ეტყობა, საბჭოთა მხარეს ახლა უკეთ ესმის ფედერალური მთავრობის პოზიცია.

ჰ. შმიდტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტია „აღმოსავლეთ მეზობლებთან თანამშრომლობისა და დაძაბულობის შენელების პოლიტიკა“. ამავე დროს მან დაადასტურა, რომ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას „მტკიცე კავშირი“ აქვს ნატოსთან და ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებასთან.

ჩვენ, დასძინა ჰ. შმიდტმა, უაღრესად სერიოზულად ვიმსჯელეთ თეირანში მძევლების დატყვევების თაობაზე. ამასთან საბჭოთა მხარემ გაიმეორა სსრ კავშირის წინანდელი გამონათქვამები, რომ მძევლთა დატყვევება ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართალს.

ორივე მხარის აზრით, თქვა მან დასასრულ, ახლანდელ პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ენერგეტიკის დარგში თანამშრომლობას.

სოციალისტურ ქვეყნებში

პრაღა. ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის პარტიული განათლების ქსელში დამთავრდა სასწავლო წელი. წრეებში, სემინარებზე, მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერსიტეტებში მიმდინარე წელს მეცადინეობდა ძალიონზე მეტი კომუნისტი. მთავარი ყურადღება ჰქონდა დათმობილი მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის შესწავლას, ჩეხოსლოვაკიის პოლიტიკის პრაქტიკული განხორციელების საკითხებს.

მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობოდა ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავისადმი, საბჭოთა არმიის მიერ ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლების 35-ე წლისთავისადმი მიძღვნილ ლექციებსა და საუბრებს, საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნების ინიციატივებს.

ბუდაპეშტი. რესპუბლიკის მეტალურგიული საწარმოების კოლექტივებმა წარმატებით მიიღეს ხუთწლედის უკანასკნელი წლის მეორე ნახევრის ესტაფეტა. მეტალურგებმა შეასრულეს პარტიის XII ყრილობისა და ფაშისტი დამპყრობლებისაგან უნგრეთის განთავისუფლების 35-ე წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულება. ქვეყანამ გეგმის გადამეტებით მიიღო 40 ათასამდე ტონა ფოლადი, მთლიანად შესრულდა მოძმე სოციალისტურ ქვეყნებში მეტალურგიის პროდუქციის საექსპორტო მიწოდებანი.

სოფია. გამოათავისუფლონ ასობით მუშახელი და ამავე დროს გააფართოონ წარმოება — ასეთია გაბროვოს ელექტროტელფერების ქარხანაში დაწყებული რეკონსტრუქციის მიზანი. 1982 წლის დამლევისათვის აქ გათვალისწინებულია დაიდგას ასზე მეტი სამრეწველო რობოტი, პრაქტიკულად მთლიანად იქნეს ავტომატიზებული ტექნოლოგიური ხაზი.

ბულგარეთში თანამიმდევრულად ხორციელდება სამრეწველო მანიპულატორთა წარმოებისა და გამოყენების პროგრამა 1990 წლამდე. ბევრ ქარხანაში რობოტები წარმატებით ცვლიან მუშებს მონოტონურ ოპერაციებზე, აადვილებენ მძიმე ფიზიკურ შრომას.

ვარშავა. კიდევ ერთი ჩქარისნული ავტოტრასით შეიკვრა ვარშავის სავოევოდოს საგზაო-სატრანსპორტო ქსელი: ქალაქის სახალხო საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება სეკერკოვის მაგისტრალის მშენებლობის შესახებ, რომელიც მარჯვენა სანაპიროს რაიონ პრაღას დაუკავშირებს პოლონეთის დედაქალაქის სამხრეთ რაიონებთან.

საერთაშორისო ცხოვრება
დღევანდელი ზურგზე

საკლესიო და ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტები გვატყობინებენ

„მესაჯერო“ არ გამოვიდა

რომი. 7 ივლისი. გუშინ გასაყიდად არ გამოსულა დედაქალაქის უდიდესი გაზეთი „მესაჯერო“. პრესის ამ ორგანოს მუშებმა გაფიცეა გამოაცხადეს იმის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, რომ მეპატრონეებს განზრახული აქვთ ხვალიდან 128 კაცი გადაიყვანონ არასრულ სამუშაო კვირაზე, ხოლო შემდეგ დაითხოვონ ისინი. „მესაჯეროს“ მფლობელთა მიერ გამოცხადებული ანალოგიური ღონისძიებანი უნდა შეეხოს აგრეთვე რედაქციის ზოგიერთ თანამშრომელს.

ძნელი მდგომარეობა შეიქმნა აგრეთვე პრესის ორ სხვა ორგანოში — გენუის „სეკოლო დიჩანოვეზიოში“ და „ავანტი“, სადაც თანამშრომლებს აგრეთვე დათხოვნის საფრთხე ელით.

იტალიის პრესაში შექმნილი სერიოზული მდგომარეობა შეშფოთებას იწვევს დემოკრატიულ საზოგადოებრიობაში, რომელიც მოითხოვს სასწრაფო ღონისძიებების განხორციელებას კრიზისის დაძლევისათვის. პრესის ორგანოები ქვეყანაში ზედიზედ იხურება, იზრდება უმუშევრობა სტამბის მუშებს შორის.

საკანონმდებლო აქტი

ბრალდებულთა ინტერესებს

ბონი. 7 ივლისი. (საკ. კორ. ვ. ბ.). ბონის ფედერალურ სასამართლოს ბრალდებულთა ინტერესებს ეხება ახალი საკანონმდებლო აქტი, ამბობს ეს ინფორმაციული ბიულეტენი „ბონერ ფერბინდუნგენ“. ეს ინფორმაციული ბიულეტენი ეკუთვნის ბონის ადვოკატთა ასოციაციას.

ბიულეტენი ამბობს, ეს აქტი ბრალდებულთა ინტერესებს ეხება, ეს ინფორმაციული ბიულეტენი ეკუთვნის ბონის ადვოკატთა ასოციაციას.

ბელგიელ ექიმებს

ეკონომიკური

ბრიუსელი. 7 ივლისი. (საკ. კორ. ბ. ბ.). ბელგიელ ექიმებს ეკონომიკური ბოიკოტი ეცხადებათ. ეს ინფორმაციული ბიულეტენ „ბერ“ ... ეკონომიკური ... ...

კომუნისტი მწერლის გმირობა

მ. ა. შოლოხოვს ჯილდო გადაეცა

ვეშენსკაია (როსტოვის ოლქი), 5 ივლისი. (საკდესის კორ.). დღეს დონის ამ სტანიცაში თამამადროვეობის გამოჩენილ მწერალს მიხეილ ალექსანდრეს ძე შოლოხოვს საზეიმო ვითარებაში ადასეცეს ლენინის ორდენი ერეორე ოქროს medalი „ნამგალი და ჩაქუჩი“. ეს საპატიო ჯილდო მწერალს საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაზე გაწეული ფასდაფასი ღვაწლისათვის და დაბადების სამოცდათხუთმეტ წლთან დაკავშირებით მიენიჭა.

მწერლის სტუმართმოყვარე სახლში თავი მოიყარეს წარმოების მოწინავეებმა, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებმა, პარტიულმა, საბჭოთა, საზოგადოებრივ-კულტურულმა და კომკავშირულმა მუშაკებმა, ვეშენსკაიას ცხოვრებლებმა.

მწერალს ჯილდო გადასცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრმა, პარტიის როსტოვის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ა. ა. ბონდარენკომ.

—ნება მიბოძეთ,—თქვა მან,— სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცენტრალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის დავალებით და სახელით მხურვალედ მოგილოცოთ და გისურვოთ ჯანმრთელობა, დღეგრძელობა და ბედნიერება, ჩვენო ერთგულო მეხიელ ალექსანდრეს ძევ! ლეონიდ ილიას ძემ ძალზე გულთბილად და გულითადად ალაპარაკა თქვენს შესანიშნავ ეროვნულ თვისებებზე— კომუნისტის თვისებებზე. საუბარში ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა თქვა: ჩვენს ქვეყანაში არ მოიძებნება ადამიანი, ცხოველი ინტერესით რომ არ კითხულობდეს მიხეილ ალექსანდრეს ძე შოლოხოვის „წყნარ დონს“, „გატეხილ ყამირს“— უდიდესი მწერლური ნიჭისა და ოსტატობის ნაწარმოებებს.

მ. ა. შოლოხოვის შემოქმედების ასეთი მაღალი შეფასება გამოხატავს საყოველთაო-სახალხო სიყვარულს მწერლისადმი, მაღალიერებას მისი შემოქმედებითი მშრომისათვის, პარტიისა და ხალხის ინტერესების უანგარო სამსახურისათვის.

ამ დღეებში, ხაზი გაუსვა ი. ა. ბონდარენკომ, ყველა დონელი მწერმოელი უდიდესი აღფრთოვანებით მუშაობს ხუთწლედის დამამთავრებელი წლის, მთელი ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის. აღფრთოვანება და ენთუზიაზმი გამოიწვია სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებებმა. ამას წინათ გამართულ ოლქის პარტიული აქტივის კრებაზე განხილეს ოლქის მშრომელთა ამოცანები, რომლებიც გამომდინარეობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებებიდან, ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მოხსენებიდან, დასახეს მაღალი მოჯნები პარტიის XXVI ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის. ახლა ოლქის მიხდრებში მიმდინარეობს 9 მილიონი ტონა დონური პურისათვის დაძაბული ბრძოლის დამამთავრებელი ეტაპი, და ამ ბრძოლას ეწევიან იმათი შთამომავლები, რომელთა ცხოვრება უდიდესი მხატვრული ძალითა და დამაჯერებლობით ასახა მიხეილ ალექსანდრეს ძე შოლოხოვმა თავის ნაწარმოებებში.

პარტიის როსტოვის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა დონელი კომუნისტების, ყველა მშრომელის სახელით მხურვალედ მიულოცა კომუნისტ მწერალს, სახალხო დეპუტატს საპატიო ჯილდო, უსურვა მას ჯანმრთელობა, ბედნიერება და სიმხნევე.

— გულითად მადლობას მოვახსენებ ჩვენი პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საბჭოთა მთავრობას,— თქვა ჯილდოს მიღებისას მ. ა. შოლოხოვმა,—ჩემი ლიტერატურული მოღვაწეობის მაღალი შეფასებისა და ასეთივე მაღალი ჯილდოსათვის. ჩვენი რევოლუციის ღირსება ის არის, რომ იგი სულიერად აღგვაფრთოვანებს, ძალას გვმატებს დიდი საქმეებისათვის. ვფიქრობ, ჩემი წიგნები მომავალშიც სარგებლობას მოუტანს ჩემს ხალხს, ამასობაში კი აწალგაზრდა ტალანტებიც დაიზრდებიან.

მ. ა. შოლოხოვს გულთბილად მიეხალმნენ შახტის ბამბეულის კომბინატის მრთველი ლ. ვ. ფილატოვა, „ვოლგოდონსკენერგომშენის“ ტრესტის კომპლექსური კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის ბრიგადირი გ. მ. ფომენკო. დონელი მოწათმოქმედთა ყახელით იუბილარს დიდი პურის კვერი მიართვა საოლქო რაიონის მემარცვლეობის საბჭოთა მეურნეობა „ბეგანტის“ მთავარმა აგრონომმა ნ. თ. ტროფიმენკომ. მან აღნიშნეს მწერლის შემოქმედების ულოვეევი კავშირი ხალხის ცხოვრებასთან, უსურვეს მას ჯანმრთელობა, ახალი შემოქმედებითი წარმატებები.

ᲠᲝᲚᲘ, ᲠᲘᲒᲘ ᲓᲐ ᲩᲕᲔᲜ

მას შემდეგ, რაც ავტომანქანა ჩვენი ცხოვრების აუცილებელ ატრიბუტად და პირველი მოხმარების საგნად იქცა, გაიზარდა ავტომობილით მგზავრობის საფრთხეც. ბოლო ოცი სამეგ საქმე იქამდე მივიდა, რომ კაცობრიობა იძულებულია ჰკითხოს თავის თავს — ავტომობილი ადამიანის მეგობარია თუ მტერი?

მაგრამ რა მწვავედაც უნდა დაისვას ეს კითხვა, რა შემამფოთებელიც უნდა იყოს სტატისტიკური მონაცემები ავტოკატასტროფის შედეგად დაღუპულთა რიცხვის ზრდის შესახებ, უდავოა, რომ ადამიანი ავტომანქანას ვერ შეელევა. ისევ დაგვრჩენია, იმაზე ვიზრუნოთ, ყველა ღონე ვიხმაროთ, რომ რაც შეიძლება ნაკლები საფრთხე გვემუქრებოდეს ავტომანქანით მგზავრობის დროს. ბევრი რამ კეთდება კიდევაც ამ მიზნით. დღეს მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში ეს საქმე პირველი ხარისხოვანი ეროვნული და საზოგადოებრივი საზრუნავია.

ავტოავარიის გამომწვევი უმთავრესი მიზეზი ავტოტრანსპორტის უწესივრობა და მოძრაობის უსაფრთხოების წესების დარღვევაა. სწორედ ამიტომ კანონმა მკაცრი კონტროლი დაუწესა ამას და წესის დამრღვევი სისხლის სამართლის კანონმდებლობით ისჯება.

როცა ასეთი კანონები არსებობს, ახლა მთავარია მათი მტკიცედ და განუხრელად აღსრულება, და უწინარეს ყოვლისა, იმის უზრუნველყოფა, რომ დაუსჯელი არ დარჩეს არც ერთი დანაშავე და ყველას კანონის რიდი და შიში ჰქონდეს.

მაგრამ, თუ მოძრაობის უსაფრთხოების წესების დამრღვევს იმედი ექნება, რომ მართვის მოწმობაში ჩადებული ხუთმანეთიანით ადვილად დაიხსნის თავს „წვრილმანი“ დარღვევისათვის და ავტოკატასტროფის შემთხვევაშიც კი ქრთამს გასავალი ექნება, რაღა თქმა უნდა, ასეთ ვითარებაში ყველაზე მკაცრი კანონიც ჰკარგავს ძალას და ავტომობილი მართლაც ეშმაკის მანქანად იქცევა.

ამ რამდენიმე თვის წინათ მთელ საქართველოში ლაპარაკობდნენ ამ უბედურ შემთხვევაზე, შავი ზღვის ბუტაკეცილზე გალის მახლობლად მზიურის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის ტერატორიაზე რომ მოხდა. ავტოკატასტროფის შედეგად დაიღუპა ორი ზუგდიდელი ახალგაზრდა — და-ძმა რუსუდან და მამუკა ფარცვანიები, ლენინგრადის სამედიცინო ინსტიტუტის უკანასკნელი კურსის სტუდენტები. დაიქცა ოჯახი. მშობლები ნელი და ვახტანგ ფარცვანიები უშვილძიროდ დარჩნენ — ორი შვილი, დედ-მამის იმედი და ნუგეში, ერთად მიუსვენეს სახლში მკვდრები.

ვგრძნობთ მკითხველი ღელავს და ჩქარობს გაიგოს, როგორ მოხდა ეს? ვინ იყო დამნაშავე? ვის დაეწვა კისერზე ამ უმძიმესი ცოდვის ტვირთი?

მაშინაც ეს კითხვები უტრიალებდა თავში ყველას, ვინც ეს ამბავი გაიგო და ჭირისუფლისადმი თანაგრძნობით აღვსილნი რისხვასა და აღშფოთებას ვერ მალავდნენ.

ჩანს, ასეთი ფიქრები და გრძნობები ყველაზე ნაკლებად გალის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების მუშაკს შ. ხვიტიას აწუხებდა, ვისაც ამ საქმის გამოძიება მიანდეს. არადა, იგი სხვა *არა იყოს რა, სამსახურებრივი მრავალობის გამო იყო ვალდებული გულთან ახლოს მიეტანა ეს ტრაგედია. ის კი თავიდანვე ზერელედ, უსულგულოდ, ტენდენციურად მოეკიდა საქმეს, რის გამოც ვერც ერთი საგამოძიებო მოქმედება ვერ ჩაატარა ხარისხიანად და მაღალკვალიფიციურად და ბევრი უხეში პროცესუალური შეცდომაც დაუშვა. კიდევ კარგი, გალის რაიონის პროკურორი, გამოცდილი იურისტი ო. სანაია, რომელიც გამოძიებას ზედამხედველობდა, დროზე მიხვდა, რომ შ. ხვიტია ძიებას თავს ვერ გაართმევდა და საქმე ჩამოართვა.

მიუხედავად იმისა, რომ შ. ხვიტიას „მეცადინეობით“ საქმე დიდად აბურდულ-დაბურდული და გაბუნდოვანებული იყო, გალის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსმა გამომძიებელმა კაპიტანმა ა. კონჯარიამ მაინც შეძლო ნათლად აღედგინა ავტოავარიის ყველა დეტალი და ყველაფერი ზუსტად დაედგინა. ამჟამად წინასწარი გამოძიება უკვე დამთავრებულია და საქმე ფარმობაში გადაეცა გულრიფშის რაიონის სახალხო სასამართლოს (იმის გამო, რომ გალის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე რ. სიჭინავა თავად იყო ავტოკატასტროფის მოწმე, იძულებული გახდა აეცილებინა საქმე).

საქმის მასალებით ამ ავტოავარიის სურათი ასე წარმოგვიდგება: რუსუდან და მამუკა ფარცვანიები არდადეგების დღეებში ლენინგრადიდან შინ, ზუგდიდში იყვნენ მშობლებთან ჩამოსულნი. იმ სამედისწერო დღეს თანატოლებთან და-ძმა მიმოზა. და მერაბ ამთიებთან ერთად „ეიგულში“ ჩასხდნენ და გალისაკენ გაემართნენ ნათესავების მოსანახულებლად. გალს რომ მიუახლოვდნენ, ჯერ ისევ დღე იყო, 17 საათი იქნებოდა, უბედურება ორიოდე წამში დატრიალდა. მოპირდაპირე მხრიდან მომავალმა ავტობუსმა უდროო დროს და უადგილო ადგილას გაუსწრო მის წინ მიმავალ ავტომანქანა „ეიგულს“ (სახელმწიფო ნომერი 76-77 გგრ), რომელსაც ო. ბულისკერია მართავდა. გასწრებისას ავტობუსი მთლიანად გადავიდა მარცხენა მხარეს, ღერძულა ხაზიდან ერთნახევარი — ორი მეტრით და დაეჯახა მოპირდაპირე მხრიდან მომავალ „ეიგულს“, რომელშიც და-ძმა ფარცვანიები და მათი მეგობრები ისხდნენ. დაჯახების შედეგად რუსუდან და მამუკა ფარცვანიები იქვე გარდაიცვალნენ, ხოლო და-ძმა ანთიები მძიმედ დაშავდნენ.

ავტობუსი ისეთი სიჩქარით მიჰქროდა და ისეთი ძლიერი იყო დაჯახება, რომ დაჯახების შემდეგ მანქანამ კიდევ 22 მეტრზე მეტი გაიარა, ჩაავარდა თხრილში, დაძლია ეს წინააღმდეგობაც და აქედან ამოსვლის შემდეგ შეანგრია ცემენტით ნაგები ქვის ყორე, შეავარდა ეზოში, მოგლიჯა ხე და მხოლოდ მეორე ხეს შეაჩერა.

დაუდევრობით და გაუფრთხილებლობით ასეთი ზიფათი და უბედურება რომ შეემთხვევა კაცს, სინანულის და თავში ცემის მეტი რაღა დარჩენია.

მაგრამ, ეტყობა, ყველას როდი ეუფლება ასეთი გრძნობები, ზოგს სინდისიც კი არ ქენჯნის, ამ ავტობუსის მძღოლის დემურ აფრასიონის ძე კობახიძის პირველი ფიქრი და საზრუნავი ის იყო, როგორ დაეძვრინა თავი სასჯელისათვის. იგი შემთხვევის ადგილიდან ისე გაიბარა, რომ არ უნახავს და არ უკითხავს რა ბედი ეწიათ იმ ადამიანებს, რომლებიც დასისხლიანებულნი უმძრაოდ ეყარნენ კატასტროფის ადგილას, ხოლო შემდეგ როგორც კი გონს მოვიდა, ნაცნობები მოძებნა და თავისიანებს შეუთვალა, ასე და ასე შემემთხვა და მომეშველეთო.

მის ამ მეცადინეობას უქმად არ ჩაუვლია. გამომძიებელ შ. ხვიტიას მიერ შეგროვილი პირველადი მასალები და ავტოინსპექციის წარმომადგენლების მიერ შედგენილი ნახაზები, რომელსაც ხელს აწერენ ჯ. ბუკია და სხვები, მოწმობს, რომ ნებისთვ უნებლიედ, შეცდომით თუ დაუდევრობით ბევრი რამ გაკეთდა დანაშაულის კვალის დასაფარავად: მეორე დღესვე შემოსვეის ადგილს მოასწორეს

ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ, ᲢᲠᲐᲜᲡᲞᲝᲠᲢᲘ, ᲒᲖᲐ

ᲓᲐᲣᲓᲔᲕᲠᲝᲑᲐ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲘᲡ ᲤᲐᲡᲐᲓ

ორმო და დაადგეს ასფალტი, აღადგინეს დანგრეული ქვის ყორე, სადღაც გააქრეს მოგლეჯილი ხის ნაშთი, შემთხვევის ადგილიდან წაიღეს ავტობუსი, თუმცა მოძრაობას ხელს არ უშლიდა (?!).

მძღოლმა დ. კობახიძემ წარდგენილ ბრალდებაში თავიდანვე არ ცნო თავი დანშაშავედ და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობიდან თავის დაღწევის მიზნით ცდილობდა თავი ემართლებინა ავარიის ცრუ და გამოგონილი ვერსიებით. ამაში მას ხელი შეუწყო გამომძიებელ შ. ხვიტიას მიერ თავიდანვე ზერელედ და არაკვალიფიციურად წარმართულმა ძიებამ. გამომძიებელმა საქმეს დროულად არ დაურთო ავტოსატრანსპორტო საგზური და შემთხვევის ადგილას გადაღებული ფოტოსურათები უამისოდ გადაგზავნა საქმე ტრასოლოგიური და ტექნიკური ექსპერტიზისათვის. უყურადღებოდ დატოვა, არ აღნუსხა ავტობუსის ტექნიკური დეფექტები.

ავარია უნებური დანშაულია და ვერავინ დაიქადნის, ხიფათი არ მომივაო, მაგრამ ისე, როგორც ტყიბულის სამგზაური ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლი დ. კობახიძე მართავდა ავტობუსს, და საერთოდ ისეთი უდისციპლინობისა და უპასუხისმგებლობის ვითარებაში, რომელიც ამ ავტოსაწარმოშია გამეფებული, ყოველ წუთშია მოსალოდნელი ფათერაკი და კატასტროფა.

გამოძიებით დადგენილია, რომ დ. კობახიძე თვითნებურად, თავისი ნებასურვილისამებრ იყენებდა ავტობუსს, თითქოს პირადი საკუთრება ყოფილიყოს. მარტო იმ დღეს, როცა ეს უბედურება დატრიალდა, გარაჟიდან ისე გამოვიდა, რომ საგზურის ფურცელზე დისპეტჩერს ხელი არ მოუწერია. საგზურს ვამბობთ, თორემ რა საგზური და რა დოკუმენტი ეთქმის ამ ფარატინა ქაღალდს, რომელზეც გადასწორებულია თარიღიც და მძღოლის გვარიც, ვერავინ გაიგებს როდის და ვის სახელზეა იგი გაცემული.

დ. კობახიძე სისტემატურად, თვიდან თვემდე ვერ ასრულებდა გეგმას. საკონტროლო ფურცლებზე არ აღნიშნავდა გაყიდული ბილეთების რაოდენობას და არ აწარმოებდა მის რეგისტრაციას, არ იცავდა ავტოსადგურებში შესვლის და გამოსვლის განრიგს, აჭ უცდიდა სალაროებში ბილეთების გაყიდვას, ხოლო ზოგ სადგურში სულაც არ შედიოდა. ავტობუსი მუდამ სავსე ჰყავდა უბილეთო მგზავრებით ან ერთხელ გაყიდული ბილეთს მგზავრიდან მგზავრს გადასცემდა ესტაფეტურად. შემთხვევის დღეს, ფულს და საშოვარს დახარბებული, მთელ გზაზე გადაჭარბებული სიჩქარით მოაქროლებდა მანქანას ისე, რომ შეშინებული მგზავრები ხმამაღლა გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას...

განა შეიძლება ასეთ კაცს მრავალადგილიანი ავტობუსი და ადამიანის სიცოცხლე ანდო?!

ავტოსაწარმოს ხელმძღვანელობამ კი ჯეროვნად ვერ შეაფასა დ. კობახიძის პიროვნება. ვერ მიხვდა, ვერ შეიგნო რომ იგი თავისი ხასიათით, ფსიქოლოგიითა და სხვა თვისებებით ვერ აკმაყოფილებდა შორეული მარშრუტის მძღოლისადმი წაყენებულ მოთხოვნებს. მით უმეტეს, რომ ზემოაღნიშნული ხასიათის დარღვევებისათვის ადმინისტრაციის მიერ იგი მრავალჯერ იყო დასჯილი.

ეს, — რაც თავად მძღოლის პიროვნებას შეეხება. მაგრამ მანქანასაც ზომ წესრიგში უნდა იყოს! ესეც უსაფრთხოების ერთ-ერთი მთავარი პირობაა. ეს ავტობუსი, რომლითაც კობახიძემ ავარია მოახდინა, სწორედ იმ დღეს გამოგიდა კაპიტალური რემონტიდან.

და ამ ახალგარემონტებულ და განახლებულ მანქანას მომლილი აღმოაჩნდა საჭის მართვის მექანიზმი, სიჩქარის მაჩვენებელი და კილომეტრაჟის აღმრიცხველი მოწყობილობა.

და განა საკვირველია, რომ ასეთი მანქანით ასეთი მძღოლის გადამკიდე ავარია და ხიფათი მოხდეს?!

აღმამფოთებელი უფრო ის არის, რომ მძღოლი კობახიძე და ავტოსაწარმოს ხელმძღვანელობა, თვით დირექტორი ლ. დარახველიძე და მთავარი ინჟინერი ე. სიხარულიძე, დიდი მონდომებით და თავგამოდებით ცდილობდნენ თავიდან აეცილებინათ პასუხისმგებლობა და სასჯელი. ამ მიზნით არ თაკილობდნენ არც სიცრუეს, არც ცრუმოწმეების მოშველიებას, არც ცილისწამებას. დირექტორი ლ. დარახველიძე თავის ჩვენებებში დადებითს დახასიათებას აძლევს დ. კობახიძეს. უფრო მეტიც, იგი შეეცადა კობახიძის დანაშაულებრივი მოქმედების კვალი დაეფარა სხვადასხვა ინსტანციებში გაგზავნილი ცილისმწამებლური განცხადებებით და სარჩევრებით. ერთ-ერთ საჩივარში იგი წერს: „მძღოლო დ. კობახიძე არ იმსახურებს პატიმრობას, მაგრამ პროკურორმა დაღუპულთა მამისა და ნათესავების მუქარით გასცა მისი დაპატიმრების სანქცია“.

გამომძიების პროცესში, 14 თებერვალს, როცა ტექნიკური ექსპერტიზა ჯერ კიდევ არ იყო ჩატარებული, გალის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილებისადმი მიწერილ წერილში ლ. დარახველიძე ითხოვდა ავტოსაწარმოსათვის ავტობუსის დაუყოვნებლივ დაბრუნებას. იმ მოტივით, რომ ყოველდღიურად 117 მანეთს ვზარალობთო.

რატომ ჩქარობდა ასე? ხომ არ სურდა ხელი შეეშალა გამოძიებისათვის ჭეშმარიტების დადგენაში? ასეთ ეჭვს ისიც ბადებს, რომ 17 მარტს, როცა მანქანა გამოძიებისათვის უკვე საჭირო აღარ იყო და წაყვანის ნებაც დართეს, არ წაიყვანეს და კიდევ სამ თვეს ეგდო გალში.

ასე მტკიცედ ამოუდგა გვერდში სამართალში მიცემულ დ. კობახიძეს ავტოსაწარმოს ხელმძღვანელობა, რომ როგორმე ეხსნათ იგი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან. ნეტავ ასეთი მზრუნველობა ადრე გამოეჩინათ ამ კაცისადმი, ვიდრე იგი ორი ახალგაზრდის სიცოცხლეს იმსხვერპლებდა!

ახლა დ. კობახიძის ნათესავები და მეგობრები როგორ დაარაზმნენ მის გადასარჩენად!.. მშობლები, მამიდები და დეიდები, ბიძები და ბიძაშვილები სულ მილიციისა და პროკურატურის კარზე იყვნენ ატუზული. მამა აფრასიონ კობახიძე დაენებით სთხოვდა გამოძიებას, რათა დაეკითხათ ქუთაისელი და ცხაკაიელი მოქალაქენი, რომლებიც თითქოს იმ ავტობუსით მგზავრობდნენ და ავარიის შუაღლო მოწმენი იყვნენ. ამ მოწმეთაგან ვ. წულაია და ლ. კილასონია ვერ გაიქცნენ სიმართლეს და განმარტეს, რომ 1980 წლის 3 თებერვალს მათ არ უმგზავრიათ ავტობუსით, რომელსაც დ. კობახიძე მართავდა და არც არაფერი იციან ამის თაობაზე, თუ რა გარემოებაში მოხდა ავარია. სამაგიეროდ ქუთაისელმა მარგალიტა ნიკოლაძემ გამოიდო. თავი და ცრუმოწმედ დაუდგა დ. კობახიძეს, მაგრამ ვერაფერი უშველა. მისი დაბნეული და მეკიბულ-მეკიბული ჩვენებით მხოლოდ ის დამტკიცდა, რომ უსინდისოდ ცრუობდა.

როგორც წინასწარი, ასევე სამსჯავრო გამოძიების პროცესში დიდი როლი აკისრია ადვოკატს. იგი მოწოდებულია ეხმარებოდეს საგამომძიებლო და მართლმსაჯულების ორგანოებს სიმართლის დადგენაში.

ეს პასუხსაგები როლი, კერძოდ, ბრალდებულის ინტერესების დაცვა, იკისრა ქუთაისის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატმა დმიტრი ლაბაძემ და პირდაპირ უნდა ვაღიაროთ, რომ ეს კაცი თავისი უტაქტო და კინოსაფინაალმდეგო მოქმედებით არათუ არ ეხმარება საგამომძიებო ორგანოებს, პირიქით, აშკარად ხელს უშლის. იგი უსაფუძვლოდ აქიზებს, აგულიანებს და ამხედრებს ბრალდებულის მშობლებსა და ახლობლებს და დაუსაბუთებელ, უკანონო სასჩივრებს აწერინებს ზემდგომ ორგანოებში. ხშირად ასეთი ზემოქმედებით იმდენად აღიზიანებს მათ, რომ საქმე დებოშამდე მიჰყავს.

როგორც მკითხველი ხედავს, გამომიების პროცესში ასეთი სირთულეები არ წარმოიშობოდა, რომ თავიდანვე, ავარიის პირველი დღიდანვე ობიექტურად და მაღალკვალიფიციურად წარმართულიყო ძიება.

„ავარია მოხდა, ვინ არის დამნაშავე?“ — ამ ფრაზას ახლა ხშირად წაიკითხავთ გაზეთებში, გაიგონებთ რადიოსა და ტელევიზიაში. და ეს უბრალო კითხვა არ არის. ამ კითხვაზე სწორი პასუხის გაცემას უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა მარტო იმისათვის, რომ სამართალი არ გამარჯდეს და ვინმე სინდისგარეცხილმა ხელი არ მოითბოს სხვისი სისხლის ფასად, არამედ იმისთვისაც, რომ მომავალშიც არ მოხდეს ისეთი შემაძრწუნებელი ტრაგედია, აქ რომ აგიწერეთ, რომ კანონის შიშით და რიდით ყველამ ფრთხილად იაროს სახიფათო გზაზე.

მ. მიქაძე,
ი. გოგბეჩია,
„კომუნისტის“ სპეც. კორეს-პონდენტები.

ᲠᲘᲩᲕᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲝᲕᲘᲡ ᲨᲘᲒᲜᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ

„სსრ კავშირის ადვოკატურის შესახებ“ ახალი კანონის მოთხოვნათა შესაბამისად რესპუბლიკის ადვოკატთა ამოცანები განიხილეს სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე, რომელიც საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროში გაიმართა.

კონფერენციაზე აღინიშნა, რომ უკანასკნელ ხანს ადვოკატთა კოლეგიის საქმიანობაში გარკვეული ძვრა შეიმჩნევა მოსახლეობისათვის ეფექტიანი და ხარისხიანი იურიდიული დახმარების საქმეში. მაგალითად, შარშან ადვოკატების შუამდგომლობათა თითქმის ნახევარი დაკმაყოფილებულ იქნა. ეს მნიშვნელოვნად აღემატება წინა წლების მაჩვენებლებს.

კოლეგიის უურადღების ცენტრშია კადრების შერჩევის, მათი პროფესიული ოსტატობის ამაღლების საკითხები: უკანასკნელი წლის მანძილზე ასზე მეტმა ადვოკატმა აიმაღლა კვალიფიკაცია იუსტიციის მუშაკთა კვალიფიკაციის ასამაღლებელ რესპუბლიკურ კურსებზე.

ამასთან, აღნიშნეს კონფერენციის მონაწილეებმა, ზოგიერთი ადვოკატი თავისი საქმიანი და მორალური თვისებებით არ შეესაბამება მაღალ მოთხოვნებს, რომლებსაც კანონის გუშაგებს ვუყენებთ. კოლეგიას განზრახული აქვს თავიდან მოიშოროს ასეთი „სპეციალისტები“. კერძოდ, ამას ხელს შეუწყობს ადვოკატთა საერთო-რესპუბლიკური ატესტაცია.

კონფერენციის მონაწილეთა-თვის გამართა სემინარი.

ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐ ᲒᲐᲘᲢᲐᲪᲔᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ...

სრულგებითაც არ არის საჭირო და არც წესად მიგვაჩნია, რომ სავალდებულო სამხედრო სამსახურში წასვლის წინ ხალხმრავალი ღრეობები მოეწყოს. სამწუხაროდ, ვხვდებით შემთხვევებს, როცა ასეთ სუფრაზე უბედურება დატრიალებულა.

ღრეობის სუფრა ჯერაც არ გაქრალათ, სამზადისი კი დიდი ჭირნალთ თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის მუშის ე. ვარძელაშვილის ოჯახში. ნათესავების საკაპატიოებლად ბორჯომში თვით წვეულებადელი ელგუჯა ვარძელაშვილი ჩავიდა და უკან დაბრუნებისას თავის ახლობლთან. პროფტექნიკური სასწავლებლის მოსწავლე ტ. სარალიძესთან ერთად რესტორანში შეეგება.

გვიანობამდე ყბეიფეს, შემდეგ კი თვალი დაადგეს ბორჯომის № 1 ჩამომსხმელი ქარხნასთან მდგარ გ. ქილეხსაშვილის მსუბუქ ავტომანქანას და ხაშურის მიმართულებით გააქროლეს...

იყოჩაღეს არასაუწყებო დაცვის მუშაკებმა, ავტომანქანის გამტაცებლები მილიციის განყოფილებაში აღმოჩნდნენ.

ბ. ᲗᲐᲨᲐᲙᲘᲫᲔ.

ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲩᲐᲛᲝᲤᲠᲗᲕᲐᲗ

ზუგდიდი. (საკ. კორ). ზუგდიდის რაიონული შინაგან საქმეთა განყოფილების ავტოინსპექცია და საზოგადოებრივი ავტოინსპექტორები ზხრიად აწყობენ რეიდებსა და შემოწმებებს ავტოსატრანსპორტო მოძრაობის წესების დამრღვევთა გამოსავლენად. გამაფრთხილებელ-პროფილაქტიკურ ღონისძიებათა მიუხედავად, კვლავ ვხვდებით მოძრაობის წესების უხეში დარღვევის ფაქტებს. ავარია ხშირად ნასვამი მძღოლების მიზეზით ხდება. ისინი საფრთხეში აგდებენ როგორც ფეხით მოსიარულეებს, ისე საზოგადოებრივ და კერძო ტრანსპორტს და საკუთარ თავსაც.

ამას წინათ რეიდებმა და შემოწმებებმა ბევრი ნასვამი მძღოლი გამოავლინა. სოფელ კორცხელის მცხოვრები ვ. ქობალია მთვრალი დააქროლებდა მანქანას, მილიციის განყოფილების სადისკვალიფიკაციო კომისიამ მას 4 წლით ჩამოართვა ავტომანქანის მართვის უფლება. 2-2 წლით ჩამოერთვათ მართვის უფლება ინგირის, რუხის, ახალბასთუმნის მცხოვრებლებს ვ. ფაცაცას, ა. ქადარიას, გ. ბაღათურიას და ვ. ქარჩავას, ხოლო ინგირისა და კახათის მცხოვრებლებს ვ. ქირიასა და ნ. გუგუნიას — თითო წლით.

რეიდებმა და შემოწმებებმა გამოავლინა აგრეთვე სხვაგვარი დარღვევები. ზოგიერთი მძღოლი სახელმწიფო ავტომანქანებს პირადი გამორჩენის მიზნით იყენებს. ასეთი დარღვევისათვის ანაკლიელ ვ. სიჭინავას სამი თვით აეკრძალა მანქანის მართვა, ხოლო ცეკავშირის ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლს ო. სარიას — ორი თვით.

სხვადასხვაგვარი დარღვევებისათვის თითო თვით აეკრძალათ მართვა ოდიშელ, ორსანტიელ, ახალკახეთელ და დიდიხეთელ მძღოლებს პ. ცირდავას, გ. ჯანაშიას, ვ. აკობიას და ტ. ქირიას, ამასთან მათი მოქმედების შესახებ სადისკვალიფიკაციო კომისიის ოქმები გადაეგზავნათ შესაბამისი სოფლების ამხანაგურ სასამართლოებს.

გ. ნოდია.

ᲠᲔᲖᲘᲛᲘᲡ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲘᲜᲕᲐᲚᲘᲓᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲓᲦᲔ

ᲐᲚᲐᲖᲐᲜᲘ გახსოვთ, მკითხველო, 1978 წლის 2 აპრილის „კომუნისტი“, რომელშიც რუბრიკით „მამაცი მილიციელები“ დაბეჭდილი იყო წერილი ბანდიტებთან ბრძოლაში“.

— ბანდიტთა ჯგუფმა რამდენიმე მძიმე დანაშაული ჩაიდინა, მაგრამ ისე მოქმედებდა, რომ კვალს არ ტოვებდა,—იუწყებოდა გაზეთი. — ისინი თბილისის ერთ-ერთ უბანში თავს დაესხნენ მარკოზოვების ოჯახს, წინააღმდეგობა რომ გაუწიეს, რვა ტყვიით კარები დაცხრილეს. მძარცველებს ბანდიტი ო. ხაჩატუროვი ხელმძღვანელობდა. ავაზაკები მიიმალნენ. მათ ეძებდნენ.

და აი, ერთ დღეს ო. ხაჩატუროვსა და მის დამჭაშებს ურიცხისა და გუმბრის ქუჩების გზაჯვარედინზე გარს შემოერტყნენ თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებროს მუშაკები დავით გოცირიძე, ვაჟა ასათიანი, ანზორ ბურდული, ალექსანდრე რზგოევი, ალექსანდრე ალხაზოვი, დავით ზეიკიძე, ლერი დგებუაძე და ნოდარ მაისაია. ბანდიტებმა სროლა ატეხეს. ბრძოლაში სასიკვდილოდ დაიჭრნენ მილიციის უფროსი ლეიტენანტი ანზორ ბურდული და მილიციის ლეიტენანტი ალექსანდრე რზგოევი.

ასე შეიქმნა სისხლის სამართლის საქმე № 2 ო. გ. ხაჩატუროვის, გ. შ. ბაღათურიას და ა. ა. აგაჯანოვის მიერ მძიმე დანაშაულობათა ჩადენის გამო. თავდაპირველად ქაღალდის ერთ ფურცელზე მოთავსებული ავაზაკთა ავკაცობის ამბავი დროთა განმავლობაში შვიდ ტომად აიკინძა წინასწარი გამოძიების მასალებით.

ამ საქმის ბოლო გამოძახილი გახდა სამსჯავრო გამოძიება, რომელიც წლეულს სამ კვირას მიმდინარეობდა (სახალხო მოსამართლე — ზ. მამისაშვილი, სახალხო მსაჯულები — ნ. რიენიაკოვა და ვ. მკავანაძე, მდივანი—ლ. მიქაბერიძე, პროკურორი— გ. გეგელია).

სასამართლო პროცესის მონაწილეთა წინაშე ბანდიტებს, კაცისმკვლელებს, ბევრი ძმიმე დანაშაულის ჩამდენებს ნიღაბი ჩამოხადეს. ჩვენს ხელთ არის სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის განაჩენი, რომელშიც ნათქვამია:

ომარ გარეგინის ძე ხაჩატუროვი 34 წლისაა, აქვს შვიდი კლასის განათლება, არასოდეს არ უმუშავია, სამართალში ნამყოფია სამჯერ. სხვადასხვა დროს მისჯილი ჰქონდა ორი წლის, სამი წლის, ცხრა წლის პატიმრობა, უკანასკნელი სასჯელის მოხდის აღგილიდან 1975 წლის 20 დეკემბერს განთავისუფლდა, მაგრამ ჭკუა ვერ ისწავლა. თავს არიდებდა საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას, შეიძინა ცეცხლსასროლი იარაღი, ატარებდა ცივ იარაღს — დანებს, შექმნა ყაჩაღთა ჯგუფი, რომელიც ძარცვავდა ტაქსების მძღოლებს. „ქურდულ ტრადიციებს“ რომ მისდევდა, ჩვენი საზოგადოების ეს ხორცმეტი „კანონიერი ქურდის“ სახელით სარგებლობდა. იგი განუდგა საზოგადოებას, ხასიათდება როგორც გამოუსწორებელი პირი. მის დანაშაულებრივ ქმედობას ძალზე ეფექტიან

დამთავრდა „მაიაკოვსკის დღეები“

ბოლო აკორდი

ძალზე საინტერესო და შინაარსიანი იყო ბოლო დღე, დილით სტუმრები ეწვივნენ ვ. მაიაკოვსკის სახელობის პირველ საშუალო სკოლას, ინტერესით დათვალიერეს სასწავლებელი, სადაც რევოლუციის ტრიბუნი პირველ განათლებას ეზიარა.

შემდეგ იქვე მოეწყო „მრგვალი მაგიდა“ თემაზე: „ვლადიმერ მაიაკოვსკი და თანამედროვე საშოქალაქო პოეზია“. „მრგვალ მაგიდასთან“ შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა სსრ კავშირის მწერალთა კავშირის მდივანმა ი. სუროვცევმა.

დისკუსიაში მონაწილეობდნენ საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი გ. ციციშვილი, რ. კალანდია, ვ. რამანე, ვ. ჭოხოტკო, მ. ხეთაგური და სხვები. შეხვედრის მონაწილეებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა სკოლის მოსწავლეთა კონცერტმა. შემდეგ სტუმარ-მასპინძლებმა დაათვალიერეს გელათი, ნაშუადღევს კი ისინი მიიღეს პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტში.

ლექსის ჭეშმარიტ ზეიმად იქცა ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრში გამართული დიდი ინტერნაციონალური პოეზიის საღამო დევიზით: „დროისა და საკუთარი თავის შესახებ“.

პოეზიის საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ გ. აბაშიძემ, დამსწრე საზოგადოებას მიესალმა ი. სუროვცევი, შემდეგ სიტყვა წარმოთქვა პოეტმა ვ. კოროტიჩმა, რომელმაც გამოაცხადა ჟიურის გადაწყვეტილება „მაიაკოვსკის დღეების პრემის“ თაობაზე. ეს, პირველი ლაურეატებიც: მოსკოველი პოეტი ი. პოლიაკოვი, დნეპროპეტროვსკელი ლ. გალოტა და თბილისელი მ. ხეთაგური.

საქართველოს ალკაკ ცენტრალური კომიტეტის სპეციალური პრემია მიენიჭა ზეიმის თერთმეტ მონაწილეს.

ქუთაისის სახალხო დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ გ. მელქაძემ პარტიის საქალაქო კომიტეტისა და აღმასკომის საპატიო სიგელი გადასცა ი. სუროვცევს მაიაკოვსკის დღეებში აქტიური მონაწილეობისათვის. მანვე გამოაქვეყნა გადაწყვეტილება ქუთაისის საპატიო მოქალაქედ ცნობილი უკრაინელი პოეტის, ქართული კულტურის დიდი მეგობრის ვ. კოროტიჩის არჩევის შესახებ.

აუდიტორიამ ყურადღებით მოისმინა სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის პირველი მდივნის გ. მარკოვის მისასალმებელი დეპეშა მაიაკოვსკის დღეების მონაწილეებისადმი, რომელიც წაიკითხა გ. ციციშვილმა.

შემდეგ კი დაიწყო პოეტური სიტყვის ზეიმი, რომელშიც მონაწილეობდნენ ახალგაზრდა პოეტები ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა კუთხიდან.

საღამოს დაესწრნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ენუქიძე, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჟ. მარტავა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე ა. ალექსიძე, საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ნ. რუხაძე.

დამთავრდა „მაიაკოვსკის დღეები“. გაის ამ დროს დიდი პოეტის მშობლიურ ადგილებში ისევ შეიკრიბებიან მხატვრული სიტყვის ახალგაზრდა ოსტატები, რომელთა შემოქმედებაც მაიაკოვსკის მეზღვაურ პოეზიასთან არის წილნაყარი.

დ. გედენიძე,
ვ. მარდალეიშვილი,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

მეთერთმეტე ოქროს მედალი

პოზნანის საერთაშორისო სავაჭრო ბაზრობაზე მეთერთმეტე ოქროს მედალი მიიღო ღვინო „წინანდალმა“. დეგუსტატორთა ერთსულოვანი აზრით იგი თავისი გემოთი და სურნელებით აღემატება თანამედროვე კლასიკური მეღვინეობის ყველაზე მაღალ მოთხოვნებს. წელს მომხმარებლები მიიღებენ 250 ათას დეკალიტრ „წინანდალს“.

— სიფაქიზემ, სურნელებამ და სირბილემ ქართულ ღვინოს პოპულარობა მოუპოვა საზღვარგარეთაც, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს გაერთიანება „სამტრესტის“ მმართველის მოადგილემ მ. ზაუტაშვილმა. — იგი იგზავნება ყველა სოციალისტურ ქვეყანაში, აგრეთვე გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ინგლისში, საფრანგეთში, იაპონიაში, კანადაში, მარტო მეათე ხუთწლედის მანძილზე ქართულმა ღვინოებმა საერთაშორისო კონკურსებზე მოიპოვეს 75 ოქროსა და ვერცხლის მედალი, სულ კი მათ მიენიჭათ 269 მედალი.

მწვანე აფთიაქი

თირკმლის ჩაი, ალოეს წვენი, რაუვაკანი, გინდარინი, ვნების ყვავილის ექსტრაქტი... ბევრმა არ იცის ალბათ, რომ ეს და სხვა სამედიცინო პრეპარატი, რომლებიც ფართოდ არის ცნობილი ჩვენს ქვეყანაში, თავდაპირველად ქობულეთში, საბჭოთა კავშირის სამკურნალწამლო მცენარეთა ინსტიტუტის ამიერკავკასიის ზონალურ საცდელ სადგურში შეიმუშავეს.

საცდელ უბანზე, ორანჟერეებში შეკრებილია მსოფლიოს ფლორის წარმომადგენელთა უნიკალური კოლექცია: დაახლოებით ხუთასი სახეობის ბუჩქმა, ხემ, ბალახოვანმა მცენარემ კარგად გაიხარა და მეორე სამშობლო პოვა ქობულეთში.

ბოიქიმიკოსები და ბოტანიკოსები სწავლობენ მცენარეებს, განსაზღვრავენ ამ მცენარეებში ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების შემცველობას, ხოლო, როცა ოპტიმალურ გადაწყვეტას ამოვიან, ამუშავებენ სუბტროპიკული და ტროპიკული კულტურების მოვლა-მოყვანის სამეცნიერო საფუძვლებს.

ბათუმის ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხანა მცენარეული ნედლეულის დაახლოებით ორმოც წამალს უშვებს. ეს არის კალანჩოს წვენი, რომელიც აჩქარებს ჭრილობის შეხორცებას, მორინის აბები თირკმლების სამკურნალოდ, ალოეს წვენი კუჭის წყლულის წინააღმდეგ...



სურათებზე: ბათუმის ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხნის ტექნიკური კონტროლის განყოფილების ოსტატი, კომკავშირელი აიშე წინწკალაძე უჩვენებს მცენარეებისაგან მიღებულ პრეპარატებს; საბჭოთა კავშირის სამკურნალწამლო მცენარეთა ინსტიტუტის ამიერკავკასიის ზონალური საცდელი სადგურის ერთ-ერთი ორანჟერეა ქობულეთში.

ნ. ანასტასიევის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

მუდამ წინა ხაზზე

საქართველო ყოველთვის იყო და კვლავაც არის ისეთი რესპუბლიკა, რომლის წილი მნიშვნელოვანია სამამულო კულტურის განვითარების საქმეში. ეს განსაკუთრებით იგრძნობა ბოლო წლებში, როდესაც ჩვენ ბოდშენი ვართ არაერთი ღირსშესანიშნავი ლონისძიებისა, რომლებიც სამაგალითოა ინტერნაციონალური სულიერკვეთებით, ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რესპუბლიკის წარმომადგენელთა მეგობრული, საქმიანი შეხვედრებით.

დამეთანხმებით, რომ ამ შესანიშნავ ღონისძიებას — „მაიაკოვსკის დღეებსაც“ სწორედ საქართველოში უნდა ჩაპყროდა საფუძველი. მაიაკოვსკი ხომ აქედან იწყება, თქვენი ქვეყნის მადლი დაჰკრავს მის ბრწყინვალე პოეტურ ქნილობებს.

თავიდანვე ასე გვქონდა ჩაფიქრებული: „მაიაკოვსკის დღეები“ უნდა ყოფილიყო ზეიმი ახალგაზრდული პოეზიისა, პოეტებისა, რომელებმაც ეს-ეს არის დაიწყეს შემოქმედებითი გზა.

სასიამოვნოა აღინიშნოს, რომ დღეები ამართლებს თავის დანიშნულებას. ეს ურთიერთმეგობრობა, პოეზიის აწმყოსა და მომავალზე სკა-ბაასი აყალიბებს ახალგაზრდობის მოქალქეობრივ მრწამსს, ახალ თემებსა და სახეებს, სთავაზობს თითოეულს.

მაიაკოვსკის მთელი თავისი ცხოვრებითა და შემოქმედებით დაამტკიცა, რომ პოეტი, უწინარეს ყოვლისა, მებრძოლია. რა დასამალია, რომ ზოგიერთი ახალგაზრდა შემოქმედის ნაწარმოებში არ იგრძნობა პუბლიცისტურობა, ლექსის კონკრეტული მიმართულება. ეს დღეები, უეჭველია, სტიმულს მისცემს მათ პოეზიაში მოქალაქეობრივი თემატიკის კიდევ უფრო განვითარებას.

„მაიაკოვსკის დღეები“ მიმდინარეობდა იმ დროს, როდესაც მთელი ჩვენი ხალხი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის შთაბეჭდილებებით ცხოვრობს და აქედანვე იღებს ღირსეული საჩუქარი მოუმზადოს პარტიის მომავალ, XXVI ყრილობას. მართალია, ამ პლენუმზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ლ. ი. ბრეჟნევს კონკრეტულად ლიტერატურაზე არაფერი უთქვამს, მაგრამ საბჭოთა მწერლობა, რა თქმა უნდა, გრძნობს, რომ საყრილობო სამზადისი უპირველესად მასაც ეხება, პლენუმის მიზანდასახულობანი შინაგანად არის დაკავშირებული ლიტერატურასთან.

ამ დროს სწორედ ახალგაზრდობამ, ჩვენი მწერლობის მომავალმა უნდა თქვას თავისი მგზნებარე სიტყვა, წინა ხაზზე დადგეს ყველგან და ყველაფერში, მაიაკოვსკისებურად, ოპანიანად იმღეროს ჩვენი დღეების ჭეშმარიტი საგალობელი.

ეს იქნება პასუხი იმ მშობლიური ზრუნვისა, რომელსაც ჩვენი პარტია ყოველ წუთს ამეღვიძებს ახალგაზრდა შემოქმედებისადმი.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ „მაიაკოვსკის დღეები“ ყოველწლიურად უფრო მეტ რეზონანს შეიძენს, ახალი მშვენიერი ფერებით გაამდიდრებს ახალგაზრდა ტალანტების შემოქმედებითს ლაბორატორიას.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა მოვახსენო საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, პარტიის ქუთაისის რაიონულ კომიტეტებს, რესპუბლიკის მწერალთა კავშირს, ყველას, ვინც ასე ზრუნავს „მაიაკოვსკის დღეების“ მაღალ დონეზე ჩატარებისათვის.

მომავალ შეხვედრამდე, მეგობრებო!

იური სუროვცევი,
სსრ კავშირის მწერალთა კავშირის მდივანი, „მაიაკოვსკის დღეების“ მონაწილეთა დელეგაციის ხელმძღვანელი.

ექიმი გვირჩევს

რძე-მკურნალი

რძეს მოსახლეობის უმეტესობა, ზოგჯერ ექიმებიც, ბავშვების საკვებ პროდუქტად თვლიან.

მოზრდილები უპირატესობას ანიჭებენ ხორცს, თევზს, კვერცხს, რძე კი ყველა ასაკის ადამიანისთვის განსაკუთრებული სრულფასოვანი საკვები პროდუქტია.

დიდი ფიზიოლოგი აკადემიკოსი ი. პ. პავლოვი აღნიშნავდა, რომ რძე ადამიანისათვის ყველაზე „მსუბუქი“, საკვებია. იგი კარგად მოქმედებს იმათზე, ვისაც გულის და თირკმელების დაავადება აქვს.

რძის საკვებიერებულება საკმაოდ დიდია: ნახევარი ლიტრი რძე 15 გრამზე მეტ ცილას შეიცავს, რითაც მოზრდილი ადამიანის ცხოველური ცილის სადღეღამისო ნორმას უზრუნველყოფს და 10 პროცენტამდე საჭირო კალორიას იძლევა. რძე შეიცავს 3 პროცენტ ცხიმს და 4 პროცენტ შაქარს.

რძის მინერალური შედგენილობიდან განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კალციუმის მარილს დიდ შემცველობას, აგრეთვე კობალტს, სპილენძს და რკინას, რომელიც აუცილებელია სისხლის წარმოქმნისათვის.

რძე შეიცავს ორგანიზმისათვის ყველა საჭირო ვიტამინს. ვიტამინების შემცველობით განსაკუთრებით მდიდარია რძემეავა პროდუქტები — კეფირი, წყნარი და სხვა. რძემეავა პროდუქტების სრულფასოვნობა აგრეთვე იმით გამოიხატება, რომ ისინი ამუხრუჭებს ნაწლავებში ლპობითი ბაქტერიების გამრავლებას, ნაწლავთა დაავადება კი განსაკუთრებით აბერებს ადამიანს.

სრულიად დაუმსახურებლად არ ვიყენებთ რძის გადამუშავების, აგრეთვე ნაღების, ხაჭოს და ყველის ამოყვანის შემდეგ დარჩენილ სითხეს, პირველ შემთხვევაში რჩება ცხიმმოხდილი რძე, მეორე შემთხვევაში—შრატი, ცხიმმოხდილი რძე თითქმის არ შეიცავს ქოლესტერინს.

შრატში მცირე რაოდენობით გადადის ცხიმი, მაგრამ სამაგიეროდ მთლიანად — შაქარი, აგრეთვე, ცილის ერთი მესამედი. ცხიმმოხდილი რძისაგან ამზადებენ კუმისს, რომელიც რეკომენდებულია როგორც პროფილაქტიკური, ისე მკურნალობის მიზნით შემცირებული მეკვიანობის, გასტრიტების დროს, გულსისხლძარღვთა დაავადების დროს. რძის შრატისაგან შეიძლება ბურახის, კისელის დამზადება.

საინტერესოა კარაქის მომზადების შემდეგ დარჩენილი დო, რომელშიც თითქმის მთლიანად გადადის ნაღების შემცველი ლეციტინი — ნივთიერება, რომელიც უხდებათ ათეროსკლეროზითა და ღვიძლით დაავადებულებს. დო რეკომენდებულია ნაწლავთა მოქმედების რეგულაციისათვის, იმ შემთხვევაში, როდესაც ადამიანს შეკრულობის მიდრეკილება აქვს.

საგულისხმოა, რომ რძე განსაკუთრებულ როლს ასრულებს ორსულ ქალთა და მეძუძური დედის კვების ულუფაში, როგორც ყველაზე სრულყოფილი პროდუქტი ნაყოფის განვითარებისათვის.

ცნობილი ამერიკელი სწავლულის შერმანის აზრით, 3-4 ლიტრი რძის ყოველდღიური მიღება ადამიანის ცხოვრებას 10 წლით ახანგრძლივებს. სსრ კავშირის მედიცინის აკადემიის კვების ინსტიტუტის მიერ შემუშავებული ნორმების მიხედვით, მუზრდილი ადამიანის კვების ულუფაში 3.000-3.200 კალორიიდან დაახლოებით 500 გრამი რძე უნდა შედიოდეს (ახალი რძის ან რძემეავა პროდუქტის სახით), 30 გრამი ხაჭო, 20 გრამი ყველი და 15 გრამი არაჟანი.

უნდა დავასკვნათ, რომ რძის შემცველი ტოლფასოვანი პროდუქტი არ არსებობს. ჩვენი მოსახლეობის ჯანმრთელობისათვის აუცილებელია მეტი ყურადღება დავუთმოთ და ყოველთვის გვქონდეს კვების ულუფაში ისეთი შესანიშნავი პროდუქტი, როგორიც რძე და მისი ნაწარმია.

აქვე მინდა ყურადღება გავამახვილო ერთ მნიშვნელოვან საკითხზე, რომელიც შეეხება რძისა და მისი ნაწარმის მომხმარებლისათვის მიწოდების საკითხს. სასიამოვნოა, რომ მოსახლეობა ყოველდღიურად დიდი რაოდენობის რძეს და რძის პროდუქტების საკმაოდ მდიდარ ასორტიმენტს იღებს. საჭირო და ძალზე სასარგებლო იქნებოდა, ხორცისა და რძის მრეწველობის საწარმოებმა გამოუშვან რძის გადამუშავების შემდეგ დარჩენილი პროდუქტები, როგორიც არის ცხიმმოხდილი რძე, დო და შრატი.

მეტი ყურადღება მართებთ რძისა და მისი ნაწარმის გამომშვებ საწარმოებს, რომლებმაც გაანუხრეულად უნდა დაიცვან სანიტარულ-ჰიგიენური წესები, პროდუქცია მოათავსონ შესაბამის ტარა-ჭურჭელში, ხოლო გადაზიდვისას გამოიყენონ სპეციალური ტრანსპორტი და არა ღია სხვადასხვა ავტომანქანები, როგორც ეს სამწუხაროდ, ზოგჯერ ხდება ხორმე, რადგან პროდუქციაზე მოქმედებს ატმოსფერული ნალექები, ეს კი თავის მხრივ აუარესებს მის ხარისხს.

იმისათვის, რომ მომხმარებელმა ხარისხიანი და სრულფასოვანი რძე და მისი ნაწარმი მიიღოს დიდი მნიშვნელობა აქვს იმასაც, თუ სად და რა პირობებში ხდება მათი რეალიზაცია. ამ მხრივ ჯერ კიდევ შეიმჩნევა დარღვევები, კერძოდ, რძისა და რძის ნაწარმი უმრავლეს შემთხვევაში იყიდება ქუჩებსა და მოედნებზე, უშალოდ ჭუჭყიან ასფალტზე დაწყობილი ყუთებიდან, ეს ხდება წლის განმავლობაში, ყოველგვარ ამინდში, ეს ხომ სანიტარული წესების უხეში დარღვევაა, გარდა ამისა საგრძნობლად უარესდება პროდუქციის ხარისხობრივი მაჩვენებლები. ამ საკითხის მოგვარებაზე უნდა იზრუნონ სავაჭრო ორგანიზაციებმა, აგრეთვე ამას ყურადღება უნდა, მიაქციონ სანიტარული ზედამხედველობის ადგილობრივმა ორგანიზაციებმა.

ლ. გარნოვსკი,
საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმი.

ოლიმპიური ცეცხლის ესტაფეტა

6 ივლისს მოლდავეთის დედაქალაქ კიშინიოვიდან ოლიმპიურმა ესტაფეტამ კურსი აიღო რესპუბლიკის ჩრდილოეთისაკენ. ოლიმპიადისწინა პერიოდში მოლდავეთში რამდენიმე სახის მასობრივი შეჯიბრება გაიმართა: „მზიური მოლდავეთიდან — ოლიმპიურ მოსკოვამდე“, „ოლიმპიური წელი — არა მარტო ოლიმპიელთათვის“ და „ოლიმპიური კილომეტრი“. ამ ასპარეზობათა ერთ-ერთი აქტიური მონაწილეა ლაზოვსკის რაიონის კოლმეურნეობა „დრუჟბას“ ეკონომისტი ტაისია ლაზარი. 6 ივლისს მან ასისტენტთა თანხლებით და ოლიმპიური ჩირაღდნით ესტაფეტის ერთ-ერთი ეტაპი გაიარა და... ამის შემდეგ იქორწინა. მისი რჩეულია სოფლად ფიზიკური კულტურის აქტიური პროპაგანდისტი, სპორტში კოლმეურნეობის მეთოდისტი ვასილ ბონტია.

ტაისია ლაზარასა და ვასილ ბონტიას მეცადინეობით კოლმეურნეობაში ოცი სპორტული სექცია დაკომპლექტდა. ლაზარის წინადადებით სოფელ დრაგინეშტში გაიხსნა ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი კაბინეტი...

და აი, ოლიმპიური ცეცხლი მოვიდა მოლდავეთის ქალაქ ბელცშიც. ეს ქალაქი განთქმულია სპორტული ტრადიციებით. ოლიმპიადისათვის მზადების პერიოდში ბელცის სპორტულმა კოლექტივებმა შეფობა იკისრეს და სოფლის ფიზკულტურელებს საქმიანი დახმარების ხელი გაუწოდეს. მაგალითად, ადგილობრივი პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტები მეზობელი, რომკანსკის რაიონის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის სპორტული კოლექტივის მძლეოსნებს დაეხმარნენ. ამიტომ არავის გაუკვირდა, როცა ამ კოლმეურნეობის სპორტსმენები ოლიმპიური ჩირაღდნით სხვადასხვა ეტაპზე იხილეს...

7 ივლისს ბელციდან ოლიმპიურმა ესტაფეტამ მოლდავეთუკრაინის საზღვრისაკენ აიღო გეზი.

ესტაფეტამ გადაკვეთა მოლდავეთის უკიდურესი ჩრდილოეთის ბრიჩანსკის რაიონი. აქაც ოლიმპიური ცეცხლის შესახვედრად მზადება ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის სტიმულად იქცა. წლეულს რაიონის სასოფლო სპორტკოლექტივების ასამდე საზოგადოებრივმა ინსტრუქტორმა დიდი დახმარება გაუწია ეზოების კლუბებს, რომელთა მუშაობაშიც ჩაებეს ეგრეთწოდებული ძნელად აღსაზრდელი მოზარდები... და შემთხვევითი არაა, რომ მეჩირაღდნეთა შორის ნორჩი ფიზკულტურელებიც არიან.

მოლდავეთის მიწაზე ესტაფეტის ბოლო ეტაპი ჩირაღდანით გაიარა როშკანსკის რაიონის ყდანოვის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირმა, სოციალისტური შრომის გმირმა ნიკოლოზ ჰისარმა. აღსანიშნავია ისიც, რომ მისი ბრიგადის თიხოიული წევრი მშთ-ს ნიშნოსანია..

ოლიმპიურმა ცეცხლმა უკან ჩამოიტოვა მოლდავეთის ვენახები და ბაღები, იგი მოძმე უკრაინის საზღვართან მივიდა. მოლდავეთის მშრომელები ამბობენ: „ბედნიერი გზა, ოლიმპიურო ცეცხლო!“.

ველოსიპედით მოსკოვამდე

— „ოლიმპიადა“, „მშვიდობა“, „მეგობრობა“, — ამ სიტყვებით დაამთავრეს შოტლანდიელმა ახალგაზრდა კომუნისტებმა, ძმებმა ალექსანდრე და რეჯინალდ სკალიონებმა 65-დღიანი მოგზაურობა ველოსიპედებით მშობლიურ ქალაქ კლაიდბენკიდან მოსკოვამდე. მათ სტარტი აიღეს 1 მაისს და მოსკოვში 5 ივლისს ჩამოვიდნენ. ძმებმა 4111 კილომეტრი და 440 მეტრი გაიარეს.

„მოუხედავად ამისა, რომ ტეტჩერის მთავრობა ყოველნაირ დაბრკოლებას გვიქმნიდა, ჩვენ მისი ანტოლიმპიური პოლიტიკისადმი პროტესტი განვაცხადეთ. და XXII ოლიმპიადის დედაქალაქში ჩამოვედით“ — თქვა ფინიშის შემდეგ 24 წლის ალექსანდრე სკალიონმა.

„ჩვენ გვინდა მადლობა ვუთხრათ ბელგიის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთისა და სსრ კავშირის პროგრესულ ახალგაზრდულ ორგანიზაციებს, რომლებმაც დიდი დახმარება აღმოგვიჩინეს“, — დაუმატა უმცროსმა ძმამ, 20 წლის რეჯინალდმა.

საიდა გუნბა რეკორდსმენია

მოსკოვში დამთავრებულ ძმები ზნამენსკების მემორიალზე თავი ისახელა ჩვენი რესპუბლიკის მძლეოსანმა ქალმა საიდა გუნბამ. მან შუბის ტყორცნაში საკავშირო რეკორდი დამყარა და ახლა სარეკორდო მაჩვენებელი ასეთია: 68 მეტრი და 28 სანტიმეტრი, აღსანიშნავია ისიც, რომ გუნბამ პირადი შედეგი 5 მეტრით გაუუმჯობესა. მან მემორიალზე II ადგილი დაიკავა, ხოლო ამჟერად უძლიერესი იყო რუმინელი ევა რადუი-ზორგო — 68.80 მეტრი.

1500 მეტრზე რბენაში მსოფლიო რეკორდი დამყარა ლენინგრადელმა ტატიანა კახანკინამ — 3 წუთი და 55 წამი, ხოლო 200 მეტრზე რბენაში იუნიორთა მსოფლიო მიღწევით (22,45 წამი) დაამთავრა ასპარეზობა ნატალია ბოჩინამ.

სამხტომში ყველას აჯობეს ე. ანკინმა და ი. უუდმი